№ 18.

# ივერია

წელიწადი პირველი — 30 ივნისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის" რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის" ფასი 1877 წლის.
ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
ერთი ნომერი . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. დუნაიის მხედრობის შესახებ.—II. ომის ამბები.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა—IV. ხმა ლოპიანას სათვლავიდან, ლექსი გიორგი ორბელიანისა.—V. წერილი ზემო ქართლიდამ.—VI. ოსმალოს საქართველო, შავშეთი.—VII. მოღალატე ბავშვი (მოთხრობა)——VIII. ჩვენის ისტორიისათვის მასალა (დასასრული).

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია" პირველის ივლისიდამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

---

## დუნაიის მხედრობის შესახებ

აწინდელის ომიანობის ძელი-მარდვი ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ და ამიტომაც ქვეყნის უმთავრესი ყურადღება დუნაიის მხედრობისკენ იყო და არის მიქცეული. მართლა და ამ ომის ავი თუ კარგი დაბოლოვება დუნაიის მხედრობაზედ არის დამოკიდებული, რომელიც შეიცავს უპირატესს ძალას მეომარის ლაშქრობისას. დუნაიის მხედრობის მოქმედება პირდაპირ იმ ადგილებზედ უნდა გაიშალოს, რომელთა ბედ-ბედი წარწერილია ამ ომიანობის დროშაზედ. ეს გარემოება, სხვა რომ არა იყოს რა, საკმაოდ ამართლებს იმ უპირატესს ყურადღებას, რომელიც დუნაიისკენ არის მიქცეული და არა მცირე აზიისკენ, რომელსაც რასაკვირველია, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ომის საზოგადო მიმდინარეობაში, მაგრამ ეს მნიშვნელობა იმდენად არსებობს, რამდენადაც კავკასიის მხედრობა აქედ გამოიტყუებს ოსმალეთის ჯარს და მით დუნაიაზედ ოსმალეთს ძალას შეუმცირებს.

ამის გამოისობით ყველანი დიდის მოუთმენლობით მოელოდნენ მდ. დუნაიის გადასვლას რუსის ჯარის მიერ. ამბობდნენ—აი ნამდვილი ომი მაშინ დაიწყებაო.

რუსის მხედრობას ორი უმთავრესი დაბრკოლება უდგა წინ დუნაიაზედ: ოსმალოს დუნაიის ფლოტი, რომელიც თავისის ჯავშნიან ხომალდებით იცავდა დუნაიას, და ის ციხე სიმაგრენი, რომელიც მდინარის მხარეზედ არიან აშენებულნი იმავე განზრახვითა.

დიდი ხერხი და მეცადინეობა იყო საჭირო, რომ რუსის ჯარს ყველა ეს დაბრკოლება აეცილებინა თავიდგან და იმ ალაგას გადასულიყო დუნაის წყალსა, სადაც მტერი ყველაზედ ნაკლებ მოელოდა. დუნაიის მხედრობამ ყველა ეს ხერხი და მეცადინეობა გამოიჩინა კიდეც და ორთავე დაბრკოლებას აუვიდა: ორი ჯავშნიანი ხომალდი დაღუპა და იმ ალაგას გადვიდა, სადაც ოსმალები სრულებით არ მოელოდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღვიაროთ, რომ რუსეთს აწინდელ ომიანობაში ზოგი იმისთანა გარემოება შეემთხვა, რომელმაც დიდი შემწეობა მისცა და ცოტად თუ ბევრად გაუადვილა ეს პირველი ბიჯი გამარჯვებისა (ე. ი. დუნაიაზედ გადასვლა). ეს გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ რუმინიამ რუსეთს მხარი მისცა. რაკი ეს მოხდა, რუსეთს მიეცა შეძლება, რომ სწრაფად და ბლომად თავისი ჯარი დუნაიაზედ შეეკრიბნა. სურსათზედ, ჯარის საკვებავზედა რუსეთს ბევრი ფიქრი და ზრუნვა აღარ მოუნდა, რადგანაც რუსეთიდამ რუმინიაზედ რკინის გზა არის გაყვანილი, და გარდა ამისა თვითონ რუმინიაშიაც საზდოება მოიპოვა, იმიტომ რომ რუმინია დღეს ის აღარ არის, რაც უწინ იყო, ახლა მოშენებულია და გაკეთებული.

ერთის სიტყვით, ესეა თუ არა, ამ ჟამად რუსის ჯარი დუნაიის იქითა ნაპირას მოქმედებს. რა განზრახვა აქვს რუსის ჯარს და საითკენ მიჰმართავს თვის მოქმედებას, ამისი ჯერ არავინ იცის. მაგრამ რა განზრახვაც უნდა ჰქონდეს, მაინც ბალკანიის მთებს ვერ ასცილდება, სადაც დუნაისზედ ნაკლები დაბრკოლება არ მოელის.

დუნაიის მხედრობა, როგორც მოგეხსენებათ, ორ ალაგას გავიდა მდინარის იქითა ნაპირას გალაცის პირდაპირ და ზიმნიცის პირდაპირ, ქ. სისტოვას (რუშჩუკისა და ნიკოპოლის შუა). აქედგან ბალკანიის მთებისკენ გზა ქ. ტირნოვაზედ მიდის, და შემდეგ მთის იქით ქ. კაზანლიკზედ ადრიანოპოლისაკენ. ამ გზის რუშჩუკის გზა ერთვის. ამ გზაზედაც მოუნდება რუსეთის ჯარის დაყენება, რადგანაც რუშჩუკში ოსმალეთის ჯარი ბლომათა ჰყავს, თორემ ოსმალოს ჯარი უკან მოუქცევა რუსებს და საქმეს გაუჭირებს. ამის გამო რუსის ერთი ნაწილი ბელაშია, რუშჩუკის გზაზედ. ბოლგარიიდამ ბევრი სხვა გზაც გადადის ბალკანიის მთებში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზემოხსენებულს გზას ვიხსენიებთ, რადგანაც რუსის მხედრობა ჯერ-ჯერობით მარტო ამ გზაზედ მოძრაობს და ეს გზა მართლადა სხვა გზებზედ უფრო უკეთესია და უფრო ნაკლებს სიძნელეს წარმოადგენს.

ის რუსის ჯარი, რომელიც გალაცის პირდაპირ გადვიდა დუნაიის იქითა ნაპირას, დობრუჯაში მოქმედებს (დობრუჯა ოსმალეთის პროვინციაა, რომელსაც აღმოსავლეთით შავი ზღვა ესაზღვრება, ჩრდილოეთით და დასავლეთით დუნაიის მდინარე). დობრუჯა ჭაობიანი ალაგი არის და ძალიან მავნებელია ჯარის ჯანმრთელობისათვის, მეტადრე ზაფხულში, როდესაც დიდი გვალვა იცის. ამის გამოისობით რუსის ჯარს დიდი დაბრკოლება მოელის თვით დობრუჯის ბუნებისაგან, თუ ოსმალები დიდ ხანს შეაყენებენ ამ ალაგას და წინ არ გაუშვებენ.

დობრუჯაში, დუნაიდამ შავ ზღვამდე (ქ. ჩერნოვოდიდამ ქ. კუსტენჯამდე) რკინის გზა არის გაყვანილი. ამ გზის სიგრძეზედ გამაგრებული ადგილი მისდევს, რომელსაც ტროიანის თხრილს (ТРОЯНОВЪ ВАЛЪ) ეძახიან. ამ ჟამად ოსმალეთს 25,000 ჯარი უყენია დობრუჯაში ამ ადგილის დასაცველად. ამ ადგილამდე რუსის ჯარს არავითარი შესანიშნავი სიძნელე არ შეემთხვევა. დობრუჯაში წასულა ეგვიპტეს პრინცი ჰასსანი, რომელსაც განზრახვა აქვს რუსის ჯარი აქედამ წინ არ გაუშვას.

ბოლოს უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზედ უკეთესი და უშიშარი გზა სტამბოლისკენ სერბიიდამ მიდის სოფიაზედ, ფილიპოპოლზედ და ადრიანოპოლზედ. მაგრამ სერბია, როგორც მოგეხსენებათ, სხვა და სხვა მიზეზის გამო ომში არ ერევა და ამიტომ ეს გზა რუსის ჯარისთვის სრულებით უქმია. აი რას იწერებიან სტამბოლიდამ ერთს ავსტრიის გაზეთში: „ოსმალებს ძალიან ეშინიანთ, რომ რუსებმა სერბიაზედ არ გაატაროს თავისი ჯარი, რადგანაც ამ შემთხვევაში ოსმალეთი იძულებული იქნება დაჰყაროს თოფ-იარაღი და უპირატესთა სახელმწიფოთა გულმტკივნეულობაზე მიაგდოს თავისი საქმე. რუსეთმა რომ სერბიაზე გაატაროს თავისი ჯარი, ოსმალეთი ვერას გზით ვეღარ შეიმაგრებს რუსის ჯარს და ღონე მიხდილი იქნება და სტამბოლს ვეღარ დაიცავს."

## ომის ამბები.

იმ ომში, რომელიც ზივინთან გაიმართა 13 თიბათვეს, მოკლესო: საპერის ბატალიონის პოდპორუჩიკი შრადერი; გრუზინსკის პოლკისა შტაბს კაპიტანი ბარავიკი და პოდპორუჩიკი საგინოვი; ტფილისის პოლკისა შტაბს კაპიტანი აფანასიევი (ალექსანდრე), პორუჩიკი ისაკოვიჩი, პოდპორუჩიკი რუდიევიჩი და პრაპორშჩიკი სოფიევი და 118 ჯარისკაცი; დასჭრესო: კავკასიის გრენადერის დივიზიის უფროსი, ღენერალ-მაიორი კომაროვი, ღენერალის შტაბის პორუჩიკი ლამიკოვსკი; ერევნის პოლკის პოდპორუჩიკი ბარაბაშევი 2; გრუზინსკის პოლკისა პოდპოლკოვნიკები საგინოვი და უშაკოვი. პორუჩიკი აფანასიევი, პოდპორუჩიკი თ. ბარათოვი 1; ტფილისის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი რიდიგერი, პოლკოვნიკი ალექსანდერი, მაიორი სულიკოვი; კაპიტნები: ბარკოვსკი, ანდრიევსკი; შტაბს-კაპიტნები: თ. არღუთინსკი, თ. ორბელიანი, მაჭავარიანი, პორუჩიკი სნეჟკოვი, პოდპორუჩიკი ჩოგლოკოვი; პრაპორშჩიკები: თერძიევი და ალალაროვი; მინგრელსკის პოლკისა შტაბს-კაპიტანი კორენეცკი, პოდპორუჩიკი გაჩნაძე და მიშჩენკო; გრენადერის არტილერიის ბრიგადისა შტაბს-კაპიტანი გიპპიუსი, პოდპორუჩიკი ალთაევი; დაღისტნის ირრეგულიარის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი კვინიტაძე და 663 ჯარის-კაცი; გააწყვესო: პირველის კავკასიის საპერის ბატალიონის პოდპორუჩიკი პროტოპოპოვი, გრუზინსკის პოლკის კაპიტანი საგინოვი და პორუჩიკი ვაჩნაძე; ტფილისის პოლკისა პორუჩიკი საგინოვი, პორუჩიკი აგაევი და 26 ჯარის-კაცი.

20 თიბათვეს ღენერალი ლორისმელიქოვი აისარიდამ არდოსტში მისულა. ღენერალ გეიმანის ჯარი 21-ს ხაჯი-ხალილში დაბანაკებულა. ამ ჯარს ომი ჰქონია მა-

გარეჯისთან იმ ოსმალოს ჯართან, რომელიც ყარსიდგან გამოსულა. ოსმალები ისევ ყარსში დაბრუნებულან.

— 23 თიბათვეს მისი იმპერატორის უმაღლესობა კავკასიის მთავარ-სარდალი და მისი შვილი მის იმპერატორის უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილისძე, აგრეთვე შტაბის უფროსი მატრიდამ ალექსანდრე პოლში მიბძანებულან.

— გენერალ ალხაზოვს აბხაზები გაუდევნია და დიდი ზარალი მიუცია. ომში დაჭრილან ლაბინსკის პოლკის უფროსი გოლიცინოვსკი, ახალციხის პოლკის პორუჩიკი ბარონი კლეისტი და 20 ჯარის კაცი.

— 26 თიბათვეს ოსმალების ხომალდებს ნიკოლაევსში ჯარი გადმოუსხამთ, რომელიც როდესაც ჩვენები მისულან, ისევ უკან გაქცეულან. ამავე დროს ოსმალებს მუხაესტატესთვის ყუმბარები უსვრიათ. ჩვენის მხრით ერთი მოკლულია და ორი ჯარის კაცი დაჭრილი.

— სოფ. ასისოს აღების დროს თ. ნაკაშიძისა და თ. ჯორჯაძის მიერ, 6 ჯარის კაცი მოგვკლეს და 3 აფიცერი და 21 ჯარის კაცი დასჭრეს. დაღისტანში და თერგის ოლქში სრულიად დამშვიდებულან. გარდა ალიბეკის შაიკისა, რომელიც იჩხერის ტყეში დამალულა.

— 16 თიბათვეს დუნაის მხედრობას დობრუჯაში ბაბადაღი დაუჭერია. ტრაიანის თხრილამდე რუსებს სრულებით გაუდევნიათ ოსმალები.

იმ ჯარის შესახებ, რომელიც სისტოვიდამ მოძრაობს, შესანიშნავი ამბავი მოვიდა: 25 თიბათვეს გენერალ გურკოს ქ. ტირნოვა დაუჭერია და 3,000-ზე მეტი ოსმალოს ჯარი გაუდევნია ოსმან-ბაზრისკენ. ტირნოვის მცხოვრებნი დიდის აღტაცებით მიეგებებიან თურმე რუსებს. ქალაქის აღების შემდეგ პარაკლისი გადუხდიათ ხელმწიფესთვის. ბევრი სამხედრო ნივთეულობა და ალაფი დარჩენიათ რუსებს.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.**—25 (13) თიბათვეს დაიშალა საფრანგეთის დეპუტატთა პალატა. უკანასკნელი კრება დაიწყო შემდეგის სიტყვით, რომელიც წარმოსთქვა პალატის პრეზიდენტმა გრევიმ: „ვიდრე გაცნობებთ ჩემს მიერ მიღებულ მოწერილობას, მე მსურს გამოვუცხადო პალატას ჩემი გულითადი მადლობა ჩემდამი მარადის პატივის ცემისათვის. ჩვენი ქვეყანა, რომელსაც მიჰმართავს ამჟამად პალატი, ეტყვის პალატსა, რომ ამ მოკლე-ხნის განმავლობაში პალატს გულითადი სამსახური გაუწევია საფრანგეთისა და რესპუბლიკისათვის. ქვეყანა გამოუცხადებს პალატს, რომ მას, პალატს, არას ოდეს არ უღალატნია ხალხის მონდობილობისათვის. (დიდი ტაშის ცემა). შემდეგი წერილი მომივიდა შინაგანთა საქმეთა მინისტრისაგან:

პარიჟი, 25 თიბათვეს 1877.

„უფ. პრეზიდენტო,—მაქვს პატივი მოგართოთ დეკრეტი, რომლითაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა სენატის ნება-რთვით გადასწყვიტა დეპუტატთა პალატის გადაყენება. გთხოვთ აცნობოთ ეს დეკრეტი პალატს დღევანდელს კრებაში."

შემდეგ უფ. გრევიმ მაკ-მაგონის დეკრეტი წაიკითხა: „რესპუბლიკის პრეზიდენტმა კონსტიტუციის მეხუთე მუხლის ძალით სენატის ნება-რთვით, გარდასწყვიტა:

მუხლი 1. დეპუტატთა პალატი გადაყენებულია.

— 2. არჩევანის კრებანი სამის თვის განმავლობაში იქმნებიან შეყრილნი ახალის არჩევანისათვის.

— 3. სამინისტროს მოთავემ და შინაგანთა საქმეთა მინისტრმა აღსრულებაში უნდა მოიყვანონ ეს დეკრეტი.

მარშალი მაკ-მაგონი, ჰერცოგი მაჯენტისა."

მაკ-მაგონს უსათუოდ ეთაკილება რესპუბლიკის პრეზიდენტობა, რომ მარტო მაჯენტის ჰერცოგობით იხსენიებს თავისთავსა.

დეპუტატებმა დაიძახეს: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს მშვიდობიანობას!" და დაიშალნენ.

მაკ-მაგონის დეკრეტი სენატშიაც წაკითხულ იქმნა.

ორთავე პალატის რესპუბლიკელებმა კომიტეტის დაარსება ისურვეს, რომლის წევრთა თვალ-ყური უნდა ადევნონ და ადმინისტრაციის ყველა უწესოებას არჩევანის დროს მხედველობაში იქონიონ.

მეორე დღეს რესპუბლიკის დასის სენატორებმა დეკლარაცია გამოაცხადეს, რომლითაც აუწყებენ საფრანგეთის ხალხს, რომ ხელმეორედ ხალხმა უნდა ამოარჩიოს ის 369 დეპუტატი, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგი წინადადება მიიღეს 19 თიბათვეს, თუ ჰსურს პირველად და უკანასკნელად დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ მხოლოდ რესპუბლიკაა საფრანგეთის დამცველი და კეთილმდგომარეობის დამადგინებელიო.

— მანამ პალატს გადააყენებდა, მთავრობა სდევნიდა ჟურნალ-გაზეთებს და სხვა და სხვა კერძო პირთა, რომელნიც ცოტაოდენ წინააღმდეგობას იჩენდნენ ახალის სა-

მინისტრისადმი. დეპუტატებისათვის კი სიტყვის პირიდამ გამოგლეჯა მთავრობას არ შეეძლო, რადგანაც კანონის ძალით დეპუტატის დასჯა პალატის ნებას დაურთველად შეუძლებელია. მაგრამ კი ეხლა, როდესაც დეპუტატები კერძო პირნი არიან, მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ყოველი თავისუფალი აზრი და სიტყვა იმათაც აუკრძალოს. ამის გამოისობით რესპუბლიკელ სენატორებს ერთი ორად მომეტებული შრომა მოელით: რის თქმა და გარიგება დეპუტატებს აღარ შეუძლიანთ, მას მათი მომხრენი სენატორები ჰკისრულობენ. ამის გამოისობით რესპუბლიკის დასის სენატორებს ხშირად ექმნებათ ურილობა და ხშირად წარმოსთქვამენ სიტყვას, მანიფესტებს გამოსცემენ და გაავრცელებენ მთელს საფრანგეთში.

გამბეტამ თითქო ამ შემთხვევითაც ისარგებლა და ერთს კერძო ურილობაში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც უკანასკნელი მანიფესტი იქმნება რესპუბლიკელებისა. გამბეტამ ჰსთქვა: „რას დავესწარით? თხუთმეტის თვის წინად გამოცხადებულს ხალხის სურვილს, დღეს ყურს არავინ ათხოვებს, აი რას დავესწარით. ჩვენ ხელმეორედ არჩევანს უნდა შევუდგეთ და ყველაზედ უწინარეს ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ როგორმე ჭეშმარიტებამ თავი არსად არ გამოჰყოს და ხალხს არ დაენახოს. არსად არ იქმნება არც ურილობის თავისუფლება, არც წერა-ბეჭდვისა, არც არავითარი თავისუფალი სჯა და ბაასი. იმედი გვაქვს, რომ ამ გვარად განწყობილი საფრანგეთი, მთელის ქვეყნის წინაშე თავის-თავს უარ-ჰყოფს, რასაკვირველია, ჩვენდა სასარგებლოდ. (სიცილი და ტაშის ცემა.)

„ბატონებო, თუ ამაში მდგომარეობს ჩვენთას მოპირდაპირეთა პოლიტიკა, დიდი წინასწარმეტყველობა არ მოგინდება, რომ ვსთქვა—მაგ პოლიტიკას ქარი წაიღებს, როგორც ბუმბულსა. ამათ არ იციან, რომ საყოველთაო არჩევანი ეხლა ის აღარ არის, რაც უწინ იყო; ეხლა ხალხი იმოდენად გამოცდილია, რომ შეუძლიან მტკიცედ დაიჭიროს თავისი თავი და თვითონვე წინ-გაუძღვეს თავის საქმეს. იგი იქმნება უწინ მორჩილი იყო, იქმნება თვალ-ახვეული, ადვილად ამყოლი და მხთალი იყო, მაგრამ ეს დრო დიდი ხანია განჰქრა (ჰო, მართალია). ეხლა ვერ ჰპოვებთ ერთს იმისთანა მამულის შვილს, რომელიც გულში არ იყოს დარწმუნებული, რომ უსაჭიროესი მმართველობა საფრანგეთისათვის რესპუბლიკაა; ვერც ერთს ვერ ჰპოვებთ, რომელსაც არ ესმოდეს, რომ მხოლოდ რესპუბლიკელებს შეუძლიანთ რესპუბლიკა წარმართონ (დიდი ტაშის ცემა).

„ეჭვი არ არის, ბატონებო, რომ რესპუბლიკის მკვიდრი და ნაყოფიერი დადგენა საფრანგეთში მხოლოდ რესპუბლიკელებს შეუძლიანთ. ამიტომაც საფრანგეთმა 20 თებერვალს 1876 წ. ამოირჩია გულწრფელი და სინიდისიანი რესპუბლიკელები, რომელნიც, თექვსმეტის თვის განვლის შემდეგ, უფრო მტკიცედ არიან შეერთებულნი, ვიდრე არჩევანის პირველს დღეს (ძალიან კარგი, ტაშის ცემა).

„მოწყალენო ხელმწიფენო, ჩვენნი მტერნი, რასაკვირველია, ყოველგვარ უწესოებას და მუქარას მოჰსჭიდებენ ხელს, მაგრამ ვერას გააწყობენ. გულდინჯად იყავით, ყველა ამ მანქანებას წინ დავასხვედრებთ ნამდვილს კანონიერებას და ჭეშმარიტს სარგებლობასა სამშობლოისას. ფლიდობას და ქვეშ-ქვეშობას წინაღვუდგენთ გულწრფელობას;—მუქარას წინაღვუდგენთ მხნეობასა. ჩვენს წინააღმდეგებს ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ კანონი და მართლმსაჯულება ჯერ არ გაუქმებულა. (დიდი ქება და ტაშის ცემა).

„ეხლა, ერთი რამ არის უეჭველი და შესანიშნავი, საყვარელნო მამულის შვილნო: ჩვენი მოწინააღმდეგნი ისეთ მახეში არიან გაბმულნი, რომ დიდად გაიხარებენ კიდეც ოღონდ იმ მახიდამ თავის დახსნა შეიძლონ.

„მაგრამ არა უშავს რა, დეე გამოვიდნენ მოედანზედ ვისაც მონარხიის დადგენა ჰსურს საფრანგეთში, ჩვენ მზათ ვართ და ბრძოლას არ გავექცევით.

„მთავრობამ ჩვენ რაც უნდა ხელ-ფეხი შეგვიკრას, გზა დაგვიხლართოს, მაინც ჩვენს ამომრჩევლებს თამამად წინ წარვუდგებით. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამომრჩეველნი იმათ ამოირჩევენ, ვისაც დროშაზედ უწერია „სამშობლო და რესპუბლიკა.“ (ქება ტაშის ცემა.)

„საყვარელნო მამულის შვილნო, გთხოვთ ნუ დაჰკარგავთ სასოებას რესპუბლიკისას და ნუ დაეცემით სულით. მთელი საფრანგეთი თანაგვიგრძნობს ჩვენ და, დამიჯერეთ, მართალს ვამბობდი, რომ ეხლა გავდივართ მეთქი პალატიდამ 363 და დავბრუნდებით 400. საფრანგეთი რომ ჩვენკენ არ იყოს, ჩვენი მოწინააღმდეგენი ესეთს შფოთში და წუხილში არ იქნებოდნენ. რაც უნდა იყოს, ეს უკანასკნელი და სასოწარკვეთილი იერიშია რესპუ-

ლიკაზედ მიტანილი ყველა მის მტერთა მიერ, მაგრამ რესპუბლიკის დროშის ქვეშ შეკრებილ არიან ყოველნი მისნი მომხრენი, რომელნიც, იმედია დაიცვენ პატივსა და მოიპოვებენ გამარჯვებას (ტაშის ცემა).“

—პარიჟის ოფიციალური გაზეთები ამბობენ, რომ ახალი არჩევანი **14** ოკტომბერს მოხდებაო. მთავრობას ნება აქვს რა დროსაც უნდა დანიშნოს ახალი არჩევანი, ოღონდ სამ თვეს არ გადააცილოს. კანონით შეიძლება სამ თვეს კიდევ ოცი დღე გადააცილონ, თუ მოინდომებენ. ასე რომ, **25** თიბათვიდამ (როდესაც გადადგა პალატი) მოყოლებული სამი თვე და ოცი დღე სწორედ **14** ოკტომბერს შესრულდება.

მთავრობას, რასაკვირველია, შეეძლო უფრო ადრე დაენიშნა არჩევანი, და ყველაც ამას მოელოდა, მაგრამ როგორც ეტყობა უკანასკნელი ვადა დაუნიშნავს აგები როგორმე მოვასწროვო და სხვა და სხვა ხერხით ხალხი ჩემკენ გადმოვიბიროვო.

— მარშალი მაკ-მაგონი საფრანგეთის ხალხისათვის მანიფესტის გამოცემას აპირობს თურმე, რომლითაც გამოუცხადებს მთავრობის გულისწადილსა და პროგრამმას.

— ბონაპარტიელთა გაზეთებს თითქმის ყოველ დღე მოძმე ემატებათ. მაგალითებრ, ამას წინად ახალი კვირა გამოშვებითი გაზეთი დაარსდა, სახელად „იმპერია“, ფასი შვიდი ფრანკია (ორ მანეთამდე) დანიშნული წელიწადში. თავის ხელის-მომწერთათვის რედაქციას საჩუქარი დაუმზადებია: იმპერატორის მემკვიდრის სურათი.

სამის თვის განმავალობაში ბევრს ამისთანაებს დაესწრება საფრანგეთის ხალხი.

---

**წვრილი ამბები.**—პეტერბურღიდამ გაზეთს Indèpendace Belge-ს ჰსწერენ:

„უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობა მაინც კიდევ არ ენდობა რუსეთის განზრახვას და მიდრეკილებას, თუმცა ხელმწიფე იმპერატორმა საჯაროდ სიტყვა წარმოსთქვა და თ. გარჩაკოვმაც გამოაცხადა, რომ აწინდელს ომს არა აქვს მხედველობაში არც ახალის ადგილების დაპყრობა, არც სლავიანების დიდის სამეფოს დაარსება დუნაიაზედ. რუსეთს ჰსურს მკვიდრი მშვიდობიანობა დამყარდეს ყოველგან და ყველასათვის და ამ რიგი მშვიდობიანობა შეუძლებელი იქნებოდა, რუსეთს რომ ზემოხსენებული განზრახვა ჰქონდეს.

„სომხების შესახებ, რომლებსაც თითქმის ისე ეკიდებიან როგორც ბალკანიის სლავიანებს, ამბობდნენ, რომ რუსებს მათი ქვეყნის დაპყრობა უნდაო ინდოეთის გზის დაჭერისათვის ინგლისელების წინააღმდეგ. ეს ტყუილი გამოდგა. მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ თავისუფალი სომხეთი, რომელიმე ქრისტიანე მთავრის მფლობელობის ქვეშ მყოფი, ნამდვილი წინ წადგომა იქნებოდა და დიდ სარგებლობას მოუტანდა როგორც რუსეთს, აგრეთვე ინგლისს.“

— იმავე გაზეთში ბერლინიდამ იწერებიან, რომ აქ არავის არა ჰსჯერათ, რომ ვითომ ავსტრიამ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთსაო.

ოსმალეთსაო,—ამბობს იგივე კორრესპონდენტი,—უწინდელის ომიანობების მიხედვით დიდი იმედი ჰქონდაო მისი, რომ ღონე მაქვსო მტრის მოსაგერებლადაო. მაგრამ იქნება მოსტყუვდესო და საქმე ისე გაუჭირდესო, რომ უევროპოთ მოითხოვოს მორიგება და მორიგებას ის სარგებლობაც შეჰსწიროსო, რომელსაც ევროპა ბოსფორზედ გამოელისო.

ე. ი. ამ კორრესპონდენტის სიტყვით, ოსმალეთი იძულებული იქნება ევროპას ყური არ ათხოვოს და თავისით დაუთმოს რამე რუსეთს და მით იმ სარგებლობას ბოლო მოუღოს, რომელსაც წამდა უწუმ ხელსა ჰსჭიდებენ ინგლისი, ავსტრია და სხვ.

— სტამბოლიდამ იწერებიან, რომ რაც აქ დუნაიიდამ ამბავი მოდის მთავრობა მალავსო და ჰსცვლისო. როდესაც რუსის ჯარის დუნაიის გადასვლის ამბავი მოვიდაო,—მაშინვე მინისტრების საბჭო შეიყარაო და გადაწყვიტეს ხონთქარს შევატყობინოთო და პრინც რეისს (გერმანიის ელჩს ოსმალეთის წინაშე) ვთხოვოთო, რომ მონაწილეობა მიიღოსო და როგორმე ომი შეაყენოსო.

— ამბობენ, ვითომ ინგლისი და იტალია ეცდებიანო, რომ ერთის დიდის ბრძოლის შემდეგ მორიგება ჩამოაგდონ რუსეთისა და ოსმალეთის შორის.

— ერთი გაზეთი, რომელიც მალიან შინაურია ავსტრო-ვენგრიის სამინისტროსი, ამბობს რომ თუ ოსმალები ჩერნოგორიას დაიჭერენო, მაშინ ავსტრიაც დაიწყებს თავის მოქმედობასაო. გარდა ამისაო,—ამბობს იგივე გაზეთი,—ავსტრია, რომელსაც თხუთმეტი მილიონი ქვეშევრდომი სლავიანი ჰყავს, იძულებული იქნება ყოველი ღონისძიება იხმაროს და მოსპოს ის ულმობელობა, რომელმაც აღძრა მთელი ევროპაო.

— იმავე გაზეთში სტამბოლიდამ სწერენ:

„რუსეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გამარჯვებული გამოვა ომიდამ და წინადვე უცხადებს ევროპას თუ რა პირობით მოურიგდება ოსმალეთს. ეს პირობა შემდეგში მდგომარეობს: ბათუმი თავისის ნავსადგურით რუსეთს უნდა მიეცეს; ბოლგარია ბალკანიის მთების ჩრდილოეთით თავისუფალს სახელმწიფოდ უნდა იქმნას; ევროპიის სახელმწიფოებმა თავის-უფალი მიმოსვლა უნდა დაადგინონ შავ-ზღვის შესავალში.

ოსმალეთს ამისთანა პირობების ყურში შაშვებაც არ უნდა."

უნდა მოვახსენოთ, რომ რა კი რუსის ჯარი დუნაიის იქით ნაპირას გადვიდა, ესლა გაზეთები პორიკანობას დაიწყებენ მორიგების ჩამოგდების შესახებ, იმის მსგავსად, როგორც ომის გამოცხადებისავე უმალ მოჰყვნენ.

ამ ზემოხსენებულს დეპეშასაც, ეჭვი არ არის, ხვალ თუ ზეგ მეორე გასამტყუნარი ამბავი მოჰყვება.

— ერთს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილი აწერილი იმის შესახებ, თუ როგორი გადაწყვეტა ჰსურთ ბერლინში აღმოსავლეთის საქმისა. ამ წერილში მოხსენებულია, რომ ვიდრე დარდანელში თავისუფალი მიმოსვლა არ დაარსდება, რუსეთს ურჩევნია, რომ ბოსფორი ოსმალების სუსტ ხელში იყოს, და არ ინდომებსო, რომ მძლავრ ხელში ჩავარდესო. რადგანაც რუსეთს აწინდელი ომი დიდ ეკონომიურს ზარალს აძლევს და რადგანაც ინგლისი მოგებაში იქმნება მაჰმადიანობის დასუსტებისაგან, ამიტომ მათ შორის რომელიმე თანხმობა და შეკრულობა უნდა შესდგესო ოსმალეთის მემკვიდრეობის შესახებ.

ოსმალეთის ხალხნი ჯერ საკმაოდ განათლებულნი არ არიანო, რომ თავისუფლება მიენიჭოსო და განაწილებულნიც არიანო, ამის გამოისობით ევროპამ გავლენა უნდა იქონიოს მათზედაო და ეს გავლენა ავსტრიას უნდა დაეთმოსო. რუმინიის, სერბიის და ჩერნოგორიის გარდა ოსმალეთის სახელმწიფო ავსტრიას უნდა მიეცესო, რადგანაც ამ გვარს სახელმწიფოს ერთობა არ ექმნება, ამის გამო იგი საშიში არ იქმნება მეზობელთათვისაო.

---

## ხმა ლოპიანას საფლავიდამ

—

თუმც მკვდარი ვარ, მაინც სული შენკენ რბის,
ვით-ფარვანა—თავს გევლება და დაგტრფის.

—

ეს ვინა ჰსთქვა: ყველას ბოლო ელება
სიკვდილისგან, სიყვარულიც გაქრება?!
მაშ მე რათ ვარ სხვებში გამორჩეული,
მეც სხვებსავით არ ვარ მოსვენებული!
ცამ ინება სატრფოს მე განმაშორა,
მაგრამ ტანჯვას აქაც არ მომაშორა;
მიწათ ვიქეც, მაინც სული მისკენ რბის,
ვით ფარვანა—თავს ევლება და დასტრფის.

—

ზეცას ვიყო, გინდ ჯოჯოხეთს ვიწოდე,
შენს სიყვარულს მე ვერ დავსთმობ, იცოდე;
მე რათ მინდა სამოთხისა დიდება,
თუ რომ სატრფო ჩემზედ შორსა იქნება.
ვერას მიზამს ჯოჯოხეთის ქანჩები,
თუ, ლამაზო, შენ ჩემად მეგულები
ტანჯულ სული მის ღიმილსა ელოდდეს,
ვით ფარვანა—თავს ევლოდეს, დასტრფოდეს.

—

ცაში ვნახე კრებით ანგელოზები,
მშვენივრები, სხივ, ფენილნი-ნაზები;
მათ შვენებას თვალი ვერც კი უძლებდა,
მაინც სული შენს სიტურფეს ეძებდა!
რომ ვერ გპოვე, არ ვინდომე სამოთხე,
წამოველი ისევ ქვეყნად მოგნახე;
შენმა გაზდამ, იმათ არ ედარები...
მე ვიხრუკვი, შენ კი არ გებრალები.

—

ულმობელო! ჩემთვისაც მოიცალე,
ჯამი ღვინით—შესანდობლათ დაცალე;
ერთი მითხარ: განისვენე სულითა,
მეც მიყვარხარ ჭეშმარიტის გულითა.
გამაგონე, მხოლოდ ეს სიტყვები,
ხორცით მკვდარი სულით ტკბილად ვიქნები.
და სამოთხეს მე დავიჭერ ალაგსა,
შენი სიტყვა იმდენს მომცემს ძალასა.

—

თუმც მკვდარი ვარ, მაინც სული შენკენ რბის
ვით ფარვანა—თავს გევლება და დაგტრფის.

თ. გიორგი ორბელიანი.

## ზემო ქართლი. 16 ივნისს.

ესლანდელის ომის გამოისათ დიდი მზადება და მოძრაობაა სურამში. მთელი ერთი საზოგადოება (санитарный отрядъ) არის აქ მოსული და ამზადებს დაჭრილებისათვის საწოლს თავ-თავის საფენებით, იარაღებით, წამლებით, მომვლელებით და სხ. ყოველ ნაბიჯზედ თეთრ-ფართუკიან ქალებს ნახავთ წითელის ჯვრით მკლავზედ თუ გულზედ. ახლა უნდა ნახოთ მამაპაპურის შეხედულობის ჩვენი დედა-კაცები, რა გაოცებულნი და გაკვირვებულნი არიან იმათ ნახვაზედ. „ეს რა დღეს მოვესწარით“, — იძახიან, „სულ უცხო ქალებმა, ისიც ყმაწვილებმა და ლამაზმა ქალებმა უნდა მოუარონ უცხო კაცებს. იქნება იმათი დები ან ბიძაშვილები იყვნენ, თორემ უცხოსი რასაკვირველია, განა ნამუს გაუტეხელი ქალი შევა მაგ საქმეში! მაგრამ ეჰ, ესლანდელმა განათლებამ არც ნამუსი იცის და არც სირცხვილი. ვინ იცის, იქნება იმათში ეს პირველი სანამუსო საქმეც იყოს“. ახლა ჭორებს და საქმიდამ სხვა და სხვა დასკვნის გამოყვანას ბოლო არა აქვს. რასაკვირველია, ასე ორ წყალ-შუა რომ არიან, მოუყვებით თუ არა რომ სიკეთე დიდი მოაქვსთ ამ ქალებს და ძალიან საჭიროთ არიან ამ საქმეში, პირჯვარს გადიისახვენ, თითქო დამშვიდდებიან და „ღმერთო რას მოვესწარით,“ გიპასუხებენ. დღეს ჩვენც მოგვიხდა აქ ყოფნა და დათვალიერება საავადმყოფოებისა. ჯერჯერობით რაც ითქმის, გარეგანი შეხედულობა კარგი აქვს, თითქმის სალდათებისა და ოფიცრების საავადმყოფოები ერთმანერთში არ გაირჩევიან. რადგან ბევრს დაჭრილებს მოელიან, ახალ სახლებს აშენებენ. კარვები აქვსთ დადგმული რადგან მეტი სადგომი ვერ უშოვნიათ. ემდურებიან თურმე სურამლებს, რომ ძალიან მძვირათ აფასებენ თავისს სახლებსაო; დაინახეს თუ არა რო გვჭირდება, ფასს მოუმატესო, მხოლოთ ერთმა აქაურმა ვაჭარმა მისცა 250 მანათათ ორი სახლი ერთის წლით. ამ ახლათ მოსულ ხალხს კიდევ მოუმატა სხვა უცხო ხალხი ბერძნები, წებელდიდამ (აფხაზეთიდამ) გადმოსულები. დედაბუდიანათ გამოქცევიან თურმე აფხაზებს, რომელთაც ძალიან ემდურიან. სულ ერთიანად აგვიოხრეს სახლკარიო, ავეჯულობა ყოველიფერი წაიღეს და დაგვიტოვეს უსახლკაროდ, მშივრებიო. ერთის კვირის განმავლობაში ცარიელ ცომზედ ვიყავითო და პურის გამოცხობაც არ შეგვეძლოო. ბრძოლის დროს, ტყეში დავიმალენითო და იქაც რომ აღარ დაგვაყენეს, სასწრაფოთ გამოვეშურენით აქეთაო. 8000 სული ქალი და კაცი ვიყავითო და ყველანი აქეთ წამოვედით, რომ მგება აქაურმა მთავრობამ საშველი რამ მოგვცესო. ბევრი ჩვენგანი გზაში ავათ გახდა და მოუცდებულნი ქუთაისს დარჩნენ საავადმყოფოებშიო, ზოგი ახალ სენაკს და ყველანი აქ ვაპირებთ მოსვლასაო. გოდორს რომ გამოვედით, ბევრი საქონელი დაგვეღუპა და მოძმეებიც დავკარგეთ — მოუცდებულნი შიმშილისაგან დაგვეხოცა, ახლა გართ ასე წყალ-წაღებულებიო. — ისეთი სანახავნი კი იყვნენ, რომ მხოლოდ ტანისამოსით თუ, თორემ იმათ ადამიანის შეხედულება აღარა ჰქონდათ: დამდნარნი, დამჭკნარნი, დაჩაგრულნი, მოძრაობის ღონეც არა ჰქონდათ იმ უბედურებს. როგორც ცხვარი განახოთ მორეკილი, ისე იყვნენ თავ-თავიათ ტოლმგილით. წებელდაში ამ ათის წლის წინად გადავსახლდითო ტრაპეზონიდამ, ვიყავით კარგათ და ესლა კი ეს დღე გვადგა, ჩვენი თავისა აღარა ვიცით რაო. აქაურ მთავრობას შემწეობა უნდა ვთხოვოთ რომ უყურადღებოთ არ დაგვტოვოსო. ახლა კიდევ ისე სწრაფად მოიგონეს სურამის მეჭორეებმა, რომ ეს ბოშის ხალხი არის და ქურდობის მეტს რას იქმონენო. აქ რომ ბოშის დედა-კაცები დადიან ხოლმე და ქურდობენ, ამათაცო ისეთი შეხედულობა აქვსთ და ესენიცო მიჰყოფენ ხელს იმათ საქმესაო. მაგრამ ჯერ აღრეა ამისთანა აზრის გამოყვანა. რაკი მთავრობა შეუდგება იმათის საქმის გარჩევას და მისცემს საშველს რასმეს, იმედია რომ პირუტყვულათ არ დაიწყებენ ხეტიალს როგორც ბოშის ხალხნი.

ზ. ქ.

---

## ოსმალოს საქართველო

### შავშეთი

შავშეთი სდევს აჭარის სამხრეთ. აღმოსავლეთით აკრავს არსიანის მთა და ჩრდილოეთით აჭარის საზღვარზე შავშეთის ანუ კარჩხალის მთა. ამიტომ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარე ვიწრო ხეობებად არის დაყოფილი, ხოლო ვაკე ადგილი მდებარეობს შუა შავშეთში, სადაც მომდინარებს სათლელის წყალი, რომელსაც ერთვიან ბევრი მთის წყლები.

მოსავალი თითქმის ისეთივე მოდის, როგორიც აჭარაში; შავშეთის ფრიად მომცემ ბარში უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი (იფქლი), ასე რომ ამ უკანასკნელ წლებში ინგლისის სავაჭრო კამპანიამ აქედამ სიმინდი საკმაოდ ბლომად გაიტანა.

დასახლებულია ქართველებით 58 სოფლით, რომელშიაც 2000 კომლზე ანუ 14,000 სულზე მე-

ტი მცხოვრებელია. ორიოდ სავაჭრო სოფელში ვაჭრობენ ართვინელი სომხები, რიცხვით 145 კომლი. შავში ლაპარაკობს წმინდა ქართულის ენითა და ემსგავსება გამოთქმით მთიულების; ანუ უკეთ ვსთქვათ, ხევსურების გამოთქმასა. სამწუხაროდ ჩვენდა რამდენსამე სოფელში დიდ გზაზე, აზრუმსა და ოლთისის მიმავალზე თითქმის, ქართული დავიწყებიათ, თუმცა კი იციან რომ მამა პაპა ქართველები, ყოლიათ. ეს მიეწერება ხშირ მისვლა-მოსვლასა და ოსმალების სიახლოვესა. შეხედულობით შავშს ხევსურის ან მთიულის ვაჟკაცური სანახაობა არა აქვს. მაგრამ ამას შემდეგ მოვიხსენიებთ.

შავშეთი წარსულ დროებში დიდ შემწეობას და ვაჟკაცობას იჩენდა სპარსების და არაბების დაცემის დროს საქართველოზედ. არც ერთს მტკაველ ადგილს უომრად და თავგაუწირავად არ უთმობდა მტერსა, ამისაგამო ეს ვაჟკაცობა აძლიერებდა გარემო ქვეყნებსაც და საქართველოს მეფეებს წელს უმაგრებდა. მაგრამ ეს ბრძოლა დიდ მსხვერპლად დაუჯდა საქართველოსა. აშოტ კურატპალატმან (გამეფდა 885 .წ) როდესაც გარდიხადა ომი არაბებთან და დამარცხებულ იქმნა, მიიქცა ჯავახეთისაკენ თაფარავანის კიდესა. აქ ეწივნეს არაბთა (სარკინოზთა) ლაშქარნი, შეებრძოლა და გაიმარჯვა აშოტ. ამას შემდეგ სიმაგრისათვის მივიდა შავშეთსა. ქართლის ცხოვრება (187 გვ.) ამბობს: „ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოხრდა, ოდეს იგი ყრუმან (მურვან) ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი (731 წელს) და მოვლო შავშეთი, კლარჯეთი და დალონი. და კვალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყვარულითა და დაემკვიდრა მუნ და მისცნა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა და რომელნიმე სოფელნი მის ქვეყანისანი მოიყიდნა საფასითა და ზოგნი ოხერნი ალაშენნა და განამრავლნა სოფლები აშოტ კურატპალატმან ქვეყანათა მათ.“ ამის შემდეგ; „ხოლო ამან აშოტ კურატპალატმან ჰპოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდეი ერთი, რომელი ვახტანგ გორგასლანს ციხედ ალეშენა, სახელით ა რ ტ ა ნ უ ჯ ი, აოხრებულ იყო ბაღდადელისაგან (მურვან ყრუსაგან). იგი განაახლა აშოტ და ალაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა, ქვეშეთ, ალაშენა ქალაქი და ალაშენა ციხესა მას შინა ეკკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შეექმნა მას შინა საფლავი თვისი და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად.“

ამ მარტივის აღწერით ვხედავთ რა დიდი განსაცდელი უნდა გამოევლო შავშეთსა ჯერ აშოტის გამეფებამდე. შემდეგ ამისა ვიდრე სარკინოზის უფლება გაქრებოდა არა ერთხელ განახლებულა ბრძოლა. თამარ მეფის წინათ და შემდეგ ორასიოდე წელიწადი არც კი მოუსვენია შავშეთსა. იწყება თურქების და ქურთების შემოსევა, სპარსეთის ბრძოლა და ეს მხარე ფეხქვეშ გაქელილ იქმნა. დიდსა და საკვირველ მოვლინებად უნდა მივაჩნდეს, რომ ეს ადგილი კიდევ დასახლებულია და დაშენებული სოფლებითა საკმაოდ ხშირად.

შავშეთში და კლარჯეთში ჩნდება ბაგრატიონთა გვარი აშოტითგან 885 წელს. ეს მთავარი იჭერს მთელ ქართლს იმერთა მეფის შემწეობით ქსნამდე და ტფილისში არაბთა მთავრობას ამხობს, მაგრამ არაბების უფლება ისევე მყარდება ტფილისსა და ამიტომ უკუქცეული კლარჯეთ-შავშეთშივე ბრუნდება. მაინც ეს მეცადინეობა უქმად არ იკარგება. შავშეთს აძლიერებს ბაგრატიონთა გვარი, აქვს კავშირი საბერძნეთთან, აშენებს ციხე-ეკკლესიებსა, ხელოვნება და სწავლა შემოაქვს საქართველოში. ამ მეცადინეობით შავშეთის გულიდგან იწყება საქართველოს ერთობის დადგინება და იქითგან გამოსული მეფობა მკვიდრდება ათასის წლის განმავალობაში ქართლ იმერეთში

როდესაც ერთობა საქართველოში დაირღვა და სამცხე საათაბაგო გაძლიერდა, შავშეთი ექვემდებარებოდა სამცხეს აჭარასთან და ლივანასთან ერთად და. ბოლოს სრულიად დაპყრობილ იქმნა ოსმალთაგან.

აქამომდე დარჩენილა რამდენიმე გვარი ძველის თავადი-შვილებისა. პირველი იმათგანი არის ძველი ათაბაგის ჩამომავალი როსტომისა (ბექასი), რომელმაც ყველაზე პირველად მიიღო მაჰმადიანობა 1625 წელსა. ამ ჟამად სცხოვრობს ამის შთამომავალი მარტო ერთათ ერთი ბეგი მეშვიდე თაობისა 40 წლისა, ქარაფ-შუტა ღარიბი და პენციით მცხოვრები სოფელს ოქრობაღეთს. ერთ დროს ეს გვარი ძლიერი გვარი იყო შავშეთში, უკანასკნელ დროს გაღარიბდა და იმის მაგიერათ აქაც ხიმშიაშვილი შეიქმნა პირველ ბე-

ვად, როგორც აჭარაში. ამას გარდა არიან იმერ-ხევის ბეგები. ხიმშიაშვილის გვარეულობამ ათაბაგის და იმერ-ხევის ბეგების მამულები იყიდა და ამგვარად უპირატესობა მოიპოვა. ხიმშიაშვილებში ამ ჟამად სცხოვრებენ სოფ. სათლელს: სელიმ-ბეგ და ნური-ბეგ — შვილები აბდი-ბეგისა და ბიძაშვილები შარიფ-ბეგის აჭარელისა. არის გვარი ავალიშვილებისა ძველს სოფელს ანჩას, რომელიც ერთ დროს საეპისკოპოზო ყოფილა და საიდამაც გადმოსვენებულია ტფილისს ანჩის ხატის-პირი ღვთისა. იმერ-ხევის ბეგები სცხოვრებენ ველას.

ამ ოცდა ათის წლის წინა დრომდე შავშეთში დარჩენილნი იყვნენ 90 კომლამდე აზნაურშვილები. ამათ უფლება ჰქონდათ ყმები ჰყოლოდათ და ომიანობის დროს ბეგს უნდა მსახურებოდნენ, ისე როგორც ძველათ ჩვენშიაც იყო. ბეგები თავადიშვილებსავით მათზე ბძანებლობდნენ.

როდესაც ოსმალოს მმართებლობამ თენზიმათი გამოაცხადა, რომ ყოველი ქვეშევრდომი ხვანთქრისა თანაბრათ მოხარკენი არიანო, ამ დროდამ მოისპო აზნაურთა უფლება. ბეგებს პენცია მიეცათ და აზნაურნი გათანასწორდნენ გლეხებთან. თენზიმათის წინათ გლეხი კაცი ხდილობდა ბეგების სასარგებლოდ მხოლოდ მეხუთედს ნაწილს მამულის მოსავლისას.

ამ ჟამად შავშეთი აძლევს ხაზინას დიდს გადასახადს, გადასახადს აგროვებს მოიჯარადრე. მოიჯარადრეები დადიან სოფლებში იმისთანა დროსა, როდესაც ხალხს ხელში ფული არა აქვს. ამის გამო მოიჯარადრე, რასაკვირველია, უმატებს ხარჯსა და ამ გვარათ ხარჯი ძალიან დიდდება. წელიწადში შავშეთიდამ სახელმწიფოთ ხაზინაში უნდა შევიდეს ათას ხუთას თუმნამდის, მაგრამ მოიჯარადრების უსინიდისობით ეს ხარჯი ერთი ორად ერთმევა ხალხსა. ამ ხარჯს გარდა ყოველას ხეხილის ძირზე ორი ყურუშია და ტყის ხარჯად ფასის ათის თავი ერთმევა. შავშეთის ზოგ სოფლებში სომხები ქრისტიანები (ფრანგები) სცხოვრებენ, რომელნიც სალდათის მაგიერად ფულს (ბედელს) იხდიან. აქაური სომეხნი, როგორც ამბობენ ქალაქშიაც მოიპოვებიან ხანდისხან მეფურნეებთა შორის.

შავში რომ შეგხვდეთ, ძნელათ დაიჯერებთ ეს იმ მამაცის და გმირის შავშის ჩამომავალი იყოს, რომელმაც არა ერთხელ საქართველო დაიხსნა. შავში ისეთი მშიშარია, რომ მისი მხდალობა და ფრთხალობა აჭარლებში ანდაზათ არის.

აი როგორ მოიხსენებს ავტორი „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“.

„შავშეთის სოფელ ყვირილას რომ მივედით, გაგვაკვირვა აქაურის მცხოვრების შეხედულებამ: საცოდაობის სახე ედვათ. ვაჟკაცურის იერისა ერთიც ვერა ვნახეთ, სულ ძონძებში არიან გამოხვეულნი, მწუხარენი და დაგვალულის ტანისანი. ეტყობათ რომ თავჩაკრულნი, გათელილნი და ღარიბნი არიან..... მაგრამ საერთოდ შავშებზე ამას კი ვერ ვიტყვით, თუმცა ყოველგან ეტყობა, რომ დაჩაგრულია და ღონე წართმეული. სახით უფრო ქართველის სილამაზე იმერ ხევის მცხოვრებლებს შერჩენიათ. ტანისამოსი აჭარლებისა აცვიათ. შავშების ფრთხალობა მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ ათი-თორმეტის წლის წინად ოსმალოს მმართებლობამ მოიწადინა თოფ-იარაღის ჩამორთმევა. ხვანთქრის ბძანება მთელ ოსმალოს სართველოში მარტო შავშებმა აღასრულეს. აჭარლებმა, ჭანებმა და მაჭახლელებმა უარი სთქვეს და იარაღი შერჩათ. ახლა ხვანთქრის მთავრობა აღარც კი ფიქრობს იარაღის ჩამორთმევის გახსენებასა. მხოლოდ შავშები უხანჯლოთ და უდამბაჩოთ დარჩენილები აჭარლების და მაჭახლელების თავჩასაკრავნი გამხდარან და მოსვენება აღარა აქვთ....მაგ. ერთი მაჭახლელი იმერ-ხევის სოფელს სურევანს ჩაუდგა ერთს შავშს სახლში, თვით მასპინძელი შინათგან გამოაგდო, იმის ახალგაზდა ცოლს მოუჯდა და სამი თვე მთელ სოფელს ხარჯი დაადვა და ამით ცხოვრებდა. იმის ოხტიდგან ვერც ხალხი მოვიდა და ვერც მუდირი (უჩასტკის ნაჩალნიკი)... სომხები შავშეთში უფრო ცუდს მდგომარეობაში არიან. იმათ სცარცვენ თვით შავშები“. ისე გაბეზრებულან სომხები რომ ზოგნი ბათუმს აპირებენ გადასახლებას, ზოგნი ახალციხეს.

მაინც კი უნდა მოვიხსენოთ, რომ როდესაც 1844 წ. ოსმალოს საქართველოში თენზიმათი გამოცხადდა აჭარასთან, ჭანეთთან, ლივანასთან და ქობულეთთან შავშეთიც ადგა. ამ საგანზე შავშები აი რას ლაპარაკობენ:

„რუსეთის მტრებმა 1844 წ. სტამბოლში საქმე ისე მოაგვარეს რომ ახალციხეში არეულობა მოახდინონ და ამით დაღისტანიდამ რუსეთის ჯარის ყურადღება აქეთ მოაქციონ. იმ დროს დაღისტანში შამილი აპირებდა საერთოთ ხალხის აყენებასა რუსეთის წინააღმდეგ. შამილს ოსმალოს მმართებლობასთან საიდუმლო ერთობა ჰქონდა და ოსმალოს საქართველოში კაცები გაგზავნა ახალციხეზე ომის საქადაგებლად. მოქადაგეთ ჰქონდათ ხვანთქრის ფარმანი და პირველად ბეგებთან მივიდნენ, რადგა-

ნაც იცოდნენ რომ უბეგებოთ ხალხს ვერ ააყენებდნენ. ბეგებმა ისარგებლეს ამ შემთხვევითა და ვითომც ახალციხის ასაღებად მივდივართო, ათი ათი ათასი მსროლელი შეჰყარეს.

„ამ მოძრაობის მოთავედ შეიქმნა იმ დროს ბეგებში უძლიერესის აბდი-ბეგის შვილი სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი. ეს იმ დროს თხუთმეტის წლის ყმაწვილი ბიჭი იყო (ეხლა არის ორმოცდა რვა-ცხრა წლისა). თუმცა ასეთი ყმაწვილი იყო, მაგრამ ამოირჩიეს სარდლათა. ამის მოწვევით მოსქდა ხალხი აჭარიდამ, ქობულეთიდამ, ერუშეთიდამ და ლივანიდამ. ხალხმა არ იცოდა რა ამბავია, მხოლოდ გამოუცხადეს, რომ რუსებზე მივდივართო. ნამდვილათ კი ბეგებს ამ ხალხის შემწეობით არეულობის მოხდენა სურდათ რომ თენზიმათი მოეშლევინებინათ ოსმალოს მმართებლობისათვის.

„სელიმ-ბეგმა საქმე იმითი დაიწყო, რომ შავშეთიდამ ერუშეთს (ფოცხოვს) გადავიდა და იქაური ფაშა დაატყვევა. მერმე სულიმ-ბეგის ჯარი აზრუმზე და ტრაპიზონზე აპირებდა წასვლასა, მაგრამ რა კი ჯარი შეიყარა, აღმოჩნდა რომ არც თოფ-იარაღი აქვთ და არც თოფის წამალი. ხოლო აზრუმის და ტრაპიზონის საფაშოების ხალხის იმედი ჰქონდათ, რადგანაც ისინიც შეწუხებულნი იყვნენ. ამ გვარათ უნდოდათ ხალხი აეჯანყებინათ და ღონე მიხდილ მმართეალობისათვის რაც უნდოდათ, ის პირობა დაედებინებინათ.“

რადგან ბეგებს კარგა ნათლათ არ ესმოდათ რა უნდა მოითხოვონ და რა როგორ გაარიგონ, ამის გამო ერთმანერთში უთანხმობა მოუვიდათ. ამ შემთხვევით ყარსის ფაშამ ისარგებლა და მოლაპარაკებით დამორჩილდნენ ოსმალოს ჯარსა, რომელიც ბეგების წინაალმდეგ საომრად გამოსულიყვნენ. სელიმ-ბეგმა რომ ველარა გააწყო რა, სამასის კაცით დაბრუნდა და ბათუმზე დაცემა განიზრახა. მაგრამ აქ რაოდენისამე მოლაპარაკების შემდეგ დამორჩილდა და ტრაპიზონს წავიდა. იქიდამ სტამბოლს გაგზავნეს და ცოტაოდენად დასაჯეს.

აი ამ გვარად როგორც აჭარაში, აგრეთვე შავშეთშიაცა ჩანს დიდი გავლენა ხალხზე ბეგებისა და მათგან უმეტესად ხიმშიაშვილების გვარისა.

ჩვენდა ნუგეშად ეს არის რომ შავშები თავის თავს ქართველებად აღიარებენ, ყველამ იცის და ახსოვთ, რომ ძალადობით გაუმაჰმადიანებიათ და მოუგლეჯიათ საქართველოსაგან. სადაც ძველი ეკკლესიებია, პატივსა სცემენ და სანთლებს მოაქვთ დასანთებათა. ამბობენ რომ დედაკაცებში დღესაც საიდუმლოდ ქრისტიანობა დარჩენილა. ამისთანა მშვიდს ქვეყანაში კარგ გონივრულად მომქმედ კაცს ბევრის სარგებლობის მოტანა შეეძლო. აქამომდე თითო ოროლა ბეგები ჩნდებიან, რომელნიც ოჯახობას და მეურნეობას შესდგომიან და ოსმალურის წესებით და სახელმძღვანელო წიგნებით მართვენ თავის მამულსა.

დარჩენილა თუ არა ქართული წერა-კითხვის ცოდნა, ან წიგნები არ ვიცით. იქნება ქრისტიანთა სომეხ-კათოლიკეთ ეკკლესიებში დარჩენილიყოს სამღვთო ან საერო წიგნები. მხოლოდ გაგვიგონია, რომ ვითომ ამ ორმოცდაათის-ხუთხმეტის წლის წინათ არტანუჯიდამ აქ ვილასაც მოეტანოს ძველი ხელნაწერი ვეფხვის-ტყაოსანი.

ძველი ეკკლესიების ნანგრევები მრავალია შავშეთში და იმათში შესანიშნავია ჯერაც მრთელი ტბეთის ეკკლესია სოფელ ტბეთში, რომელიც სამუდირო ბინასთან სოფ. ციხის ძირთან (ეს ქობულეთისა არ გეგონოთ) ნახევარ საათის სავალზეა. აქ არ არის მეტი ამისი აღწერა მოვიტანოთ ზემოხსენებულ თხზულებიდამ „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“. საკმაოა მოვიხსენოთ იქიდამ რომე „ტბეთის ეკკლესიას შეუძლიან დაამშვენოს თვით რომი, რომელიც გათქმულია ქვეყანაზე ძველის ეკკლესიებით...“ ტბეთის ეკკლესია უფრო დიდს და მშვენიერ გრძნობას აღძრავს კაცში, ვიდრე სვეტიცხოველის ეკკლესია თავისის შინაგანის და გარეგანის მშვენიერებით. აღმოსავლეთის მხარეს ზედ წარწერა დაშთენილია; აგრეთვე თვით ეკკლესიაში მხატვრობა ისეთია, რომ გვიჩვენებს ფრიად მაღალ ხელოვნებას იმ დროებისას. აშენებულია აშოტ კურატპალატისაგან 918 წელს. ხალხი ლაპარაკობს რომ ამ ეკკლესიის ასაშენებელი წითელი ქვა ოცის ვერსის სიშორიდამ უჭრიათ და იქიდამ ხალხი იდგა მწკვრივად და ხელდახელ აწოდებდა ერთმანერთს საყდართან დასადებლადაო. ამ გვარს ამბავს ლაპარაკობენ კიდევ სხვა ეკკლესიების აშენებაზედაც ოსმალოს საქართველოში.“

ამის შემდეგ არის კიდევ სხვა ეკკლესია შესანიშნავი სინგოტს იმერ-ხევის შესავალთან, აქაც ძველი ნანგრევები ციხე-შენობებისა მრავალია.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ხალხს დიდი პატივისცემა აქვს ამ შენობებისა, მიდის ზოგიერთ დღესასწაულებში და მიაქვთ სამღვთოდ მამალი ან წმინდა სანთელი. ზოგიერთ ძველ ეკკლესიების ნენგრევებზედ სომეხ-კათოლიკებს აუშენებიათ ახალი ეკკლესიები, რომელშიაც მუდამ წირვა-ლოცვას იხდიან.

პ. უ.

## მოღალატე-ბაშვი

მას სახელად ერქვა სტენნი, პატარა სტენნი. იგი იყო ნამდვილი ბაშვი პარიჟისა, სუსტი და ფერ-მკრთალი. თვალად ათისა თუ ხუთმეტის წლის უმაწვილსა ჰგვანდა. იგი იყო იმისთანა ბაშვი, რომლის ხანიერების ნამდვილად გამოცნობა ძნელია და თითქმის შეუძლებელიც. მას დედა აღარა ჰყვანდა. მამა მისი კი— ძველი ჯარის-კაცი ზღვის მხედრობისა—გუშაგად ედგა ქალაქის ბაღსა ტამპლის უბანში. პატარა ბაშვები, გამდლები, ბებერნი დედა-კაცნი დასაკეცის სკამებითა, მშრომელნი ღარიბნი დედანი,—მთელი ეს პარიჟი ქვევითად მავალის ხალხისა, რომელიც ამ ბაღის ხევნარში თავს მოიყრიდა ხოლმე,—სულ ყველანი იცნობდნენ სტენნის მამასა და ყველას ამათ უყვარდათ კიდეც. ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ ბალან-აშვებულ ულვაშებ ქვეშ მიმალული კეთილი, ალერსიანი და თითქმის დედობრივი ღიმილი და იმ ღიმილის მოსავლინებლად საკმაო იყო ეკითხნა ვინმე ბერიკაცისთვის:

— თქვენი პატარა შვილი ხომ კარგად არის?

მოხუცებულს სტენნს ძალიან უყვარდა თავისი პატარა ბაშვი და დიდად ესიამოვნებოდა ხოლმე, როცა მისი პატარა სტენნი საღამოობით, სწავლას რომ მორჩებოდა, გამოუვლიდა და ორივ ერთად გასწევდნენ ხევნარებში სასეირნოდ, ყოველს სკამთან შედგებოდნენ, მოიკითხავდნენ ჩვეულებრივთა მოსეირნეთა და მათგანაც პასუხად მიიღებდნენ ხოლმე მოკითხვასა და სალამს.

საუბედუროდ, როცა პარიჟს მტერმა ალყა შემოარტყა, უმალვე ყოველის ფერი შეიცვალა. ბაღი მოხუცებულის სტენნისა დაკეტეს, პეტროლიის შესანახავ ადგილად გახადეს და ისევ საწყალი ბერიკაცი სტენნი ყარაულად მიუჩინეს. იგი დაუძინებლივ უვლიდა ბაღსა და დილიდამ საღამომდე დადიოდა დაცარიელებულს ხევნარში, მარტოთ-მარტო ასე რომ ჩიბუხის წევის ნებაც არა ჰქონდა,—და თავის შვილსაც მხოლოდ შინ ღამითღა ხედავდა ხოლმე. მაგრამ უნდა გენახათ რა რიგად აებურძგნებოდა ხოლმე ულვაშები, როცა იგი პრუსიელებზედ დაიწყობდა ლაპარაკსა!...

პატარა სტენნი კი ბევრს არას უჩიოდა თავის ახალს ცხოვრებასა.

მტრის გარს-შემოდგომა!—ეს ასეთი გულის გასართობი რამ არის ბაშვთათვის. ამ დროს სასწავლებელნი გაუქმებულნი არიან: მაშასადამე სწავლაც აღარ არის!....ყოველ დღე უქმეა,—და თვით ქუჩებზედ იმოდენა ხალხია თითქო ბაზრობის მოედანიაო....პატარა ბაშვი დარბოდა დილიდამ საღამომდე ქალაქის ქუჩებში.

როცა ჯარი დაიძროდა და მტერზედ დასასხმელად გასწევდა, პატარა სტენნი უკან აედევნებოდა ხოლმე და ამ შემთხვევაში უფრო იმ ჯარის გუნდს აჰყვებოდა, რომელსაც უკეთესი საკრავი (მუსიკა) ჰქონდა. რომელს ჯარს რა გვარი საკრავი აქვს—ეს პატარა სტენნმა ზედ მიწევნით იცოდა კიდეც. იგი გიამბობდათ, რომ საკრავი 96-ის გუნდისა სრულიად არ ვარგა, მაგრამ 56-ის გუნდისა კი ჩინებულია. ზოგჯერ როცა ჯარს ასწავლიდნენ და ავარჯიშებდნენ იმის საყურებლად წავიდოდა ხოლმე. ზოგჯერ იღლიაში კალათა ამოჩრილი პატარა სტენნი აჰყვებოდა ხოლმე იმ აუარებელს ხალხსა, რომელიც დილაობით ზამთრის ბურუსიანს დღეს ყასბებისა და მეპურეებისაკენ მიდიოდნენ. იქ წუმპეში მდგარნი პატარა ბიჭები ერთმანეთს გაიცნობდნენ ხოლმე, ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზედ და პატარა სტენსა, ვითარცა ყველასაგან ცნობილის სტენნის შვილსა, ჰკითხავდნენ, შენ როგორღა ფიქრობო.

გარნა ყველაზედ უფრო მომეტებული გასართობი პატარა ბიჭებისა „გალოშის“ თამაშობა იყო. ეგ სახელგათქმული თამაშობა ბრეტონის ჯარმა შემოიღო მტრის ალყის შემორტყმის დროსა. როდესაც პატარა სტენნი არც ჯარის საყურებლად იყო თხრილზედ, არც მეპურეებთანა, მაშინ უეჭველად კაცი იპოვიდა მას „გალოშის“ მოთამაშეთა შორის შატო-დოს მოედანზედ. ამას თქმა აღარ უნდა რომ ის თვითონ არ თამაშობდა: „გალოშის“ თამაშობას ფული უნდა და ამას ფული არ ჰქონდა. ის იმითიც კმაყოფილი იყო, რომ უყურებდა თავის ტოლ-ამხანაგთა თამაშობასა. ერთი მოთამაშეთაგანი მაღალი ლურჯბლუზიანი სულ ხუთ ფრანკიანს*) ჩამოდიოდა და ამან სრულიად მიიზიდა პატარა სტენნის ყურადღება, ასე რომ თვალს აღარ აშორებდა. როცა ეს მაღალი ბიჭი გარბოდა, ფულს იმის ჯიბეში ჩხარუნი გაჰქონდა. ერთხელ იმ მაღალ ბიჭს ფული გამოუგორდა და პატარა სტენნის ფეხთა წინ დადგა. როცა მაღალი ბიჭი ასაღებად დასწვდა, მაშინ სტენნს წაჰჩურჩულა: „—ჰმე, შენ როგორღაც ნერწყვი მოგდის ამ ფულის დანახვაზედ....მაშ თუ ეგრე გულით გინდა, მე გასწავლი შენ ადგილს, საცა ამისთანა ფულის შოვნა ბლომად შეიძლება....“

---

*) ხუთ ფრანკიანი—მანეთი და ხუთშაურიანი ვერცხლის ფულზედ.

როცა თამაშობა გათავდა, მაშინ მაღალმა ბიჭმა გაიყვანა განზედ სტენნი და უთხრა რომ წავიდეთ და პრუსსიელებს გაზეთები მივუტანოთო გასასყიდლად, თვითო მისვლაზე 30-ს ფრანკს იძლევიანო. ამ გვარმა რჩევამ ისე ააშფოთა სტენნი, რომ მთელი სამი დღე აღარ მიჰკარებია მოთამაშეებს. ეს დღეები სულ ტანჯვაში გაატარა!.... ვეღარც ჭამა შესძლო და ვეღარც ძილი. მას ღამით ელანდებოდა სულ „გალოშის“ თამაში და ხუთ ფრანკიანი ფულები, რომელნიც ბრწყინვალედ ზოლად გამწკრივებულნი იყვნენ მის საწოლის ტახტის ქვეშ. მაცდურება ისეთი დიდი იყო, რომ იგი მეორეს დღეს ადგა და წავიდა შატო-დოს. ნახა თავისი ამხანაგი და დაემორჩილა მის ცდუნებას.

თოვლიანი დილა იყო, როდესაც ისინი გზას შეუდგნენ. ბარგად ჰქონდათ ზურგზედ წამოკიდებული სხვილის ტილოს პარკები და გაზეთები, ბლუზების ქვეშ დამალულნი. ფლანდრიის ჭიის კართან მივიდნენ თუ არა, გარიჟრაჟდა კიდევაც. ჭიის კართან იდგა ყარაულად ერთი ვაჟკაცი ბერი-კაცი, რომელსაც ცხვირი წითლად უღვიოდა და სანახაობა კეთილის კაცისა ჰქონდა. მაღალმა ბიჭმა მოჭკვიდახელი სტენნსა, მიიყვანა ყარაულთან და მუდარების ხმით, როგორც მთხოვარამა, უთხრა:

— ჩემო კეთილო ბერო-კაცო, ნება გვიბოძეთ გავიაროთ.... დედა ჩვენი სნეულია, მამაც აღარა გვყავს. მე და ეს ჩემი პატარა ძმა მინდვრად მივდივართ, ეგება თითო ოროლა კარტოფილი ვიპოვოთ სადმე და მოვაგროვოთ

მაღალმა ბიჭმა ცრემლებიც კი გადმოყარა, გარნა სტენნმა კი სირცხვილით თავი ჩაღუნა. ყარაულმა ჯერ ამათ დააკვირვა თვალი, მერე გახედა თეთრად განზიდულს გზასა, ბოლოს გზა მიჰსცა და უთხრა:

— გაიარეთ ჩქარა.

ბალღები ობერვილის გზაზედ გავიდნენ. მაღალი ბიჭი სიცილს მოჰყვა.

ბუნდად, როგორც სიზმარში, პატარა სტენნი ხედავდა ქარხანებს, ჯარის სადგომად გადაკეთებულთ თავდანებებულთ სანგლებსა, რომელზედაც ძონძები იყო გადმოკიდებული და ბუხრის თავები მაღლა აწოწვილნი, თითქო დილის ზრქელი ბურუსი უნდოდათ გაეპოთ და ცაში ასულიყვნენ. ხანდისხან პატარა ბიჭებს წინ შეხვდებოდნენ ხოლმე ყარაულები და აფიცრები, ფარაჯებში გახვეულნი, რომელნიც გარემემოსა შინჯავდნენ დურბინდით. იქ განტი კუნტად მოჩანდნენ კარვები რომელზედაც ზრქლად იდო თოვლი, ჯარის-კაცთა ცეცხლებისაგან მოლხობილი. მაღალმა ბიჭმა გზა იცოდა და ისე მიდიოდა მინდვრებზედ, რომ წინა ყარაულებს ასცდენოდა. თუმცა ამის გამო შორს მოუარეს, მაგრამ მაინც ზედ წააწყდნენ ერთს გუნდს ჯარსა, რომელიც თხრილში იყო ჩასაფრებული. ამ ხელად კი მაღალს ბიჭს ტყუილ უბრალოდ ჩაუარა თავისმა ჩვეულებრივმა კნავილით ვედრებამა: ჯარის კაცთ არ უნდოდათ ამათი გაშვება. ხოლო მაშინ, როცა მაღალმა ბიჭმა ტირილი დაიწყო, საყარაულოდამ გამოვიდა ერთი ჭაღარა მორეული ბერი-კაცი; სიბერისაგან მთელი სახე შეჰჭმუჭნოდა და სტენნის მამას ძალიანა ჰგვანდა. იგი სერჟანტი იყო.

— „აი, თქვე ჭიჭყინებო, ნუღარ ტირით! უთხრა მან ბავშვებსა, — „ნუ გეშინიანთ! თქვენ გაგიშვებენ თქვენი კარტოფილი მოაგროვოთ. ჯერ კი აქ შემოდით და პატარა გათბით. აი ეს ბალღი ღამის სიცივისაგან გაშეშდეს!“

ეჰ! პატარა სტენნი თრთოდა, მაგრამ სიცივისაგან კი არა: იგი თრთოდა შიშისა და სირცხვილისაგან....

საყარაულოში იმათ ნახეს რამდენიმე ჯარის-კაცნი, რომელნიც გარს შემოსხდომოდნენ ცეცხლსა, და თოფის შუბებზედ აგებულს გაყინულს პურს ათბობდნენ. რაკი ბავშვები დაინახეს, მყის განზე გაიწიეს და ალაგი დაუთმეს. მერე ყავაც უთავაზეს. როცა ბალღები ყავასა სვამდნენ, მაშინ კარებში მოდგა აფიცერი, გაიხმო სერჟანტი, რაღაცა წაჩურჩულა და სისწრაფით უკანვე გაბრუნდა.

— ყმაწვილებო, — ჰსთქვა უკან შემობრუნებულმა სერჟანტმა მხიარულის სახით.... ამაღამ ცხარე საქმე გვექნება.... ჩვენ შეუტყვეთ პრუსსიელებს საიდუმლო ნიშანი, რომლითაც მათს წინა ყარაულებს შევეპარებით. მე მგონია, რომ ამაღამ მაინც წავართმევთ იმ წყეულს ბურჟესს.“ ამის თქმაზედ ასტყდა ერთი ხმაურობა და მხიარულება. მოჰყვნენ თამაშობას და სიმღერას, და თოფის შუბებსაც ლესვა დაუწყეს. პატარა ბიჭებმა კი ამ ხმაურობაში და არეულობაში დრო იხელთეს და ერთს წუთზედ გამოიპარნენ. თხრილს იქით ვაკიანი იყო და ვაკიანის შუა გულს თეთრი კედელი სათოფეებითა და საზარბაზნოებითა მოჩანდა. პატარა ბიჭების გზა იმ კედლის პირას მიდიოდა. დრო გამოშვებით პატარა ბიჭები დადგებოდნენ ხოლმე იმ სახედ, თითქო მართლა-და კარტოფილს ჰგლეჯენ, რომ ეჭვი არ აეღებინოთ.

— „დავბრუნდეთ უკან, ნუღარ წავალთ იქ,“ ამბობდა პატარა სტენნი. პასუხად ამხანაგმა მარტო მხრები აიწია, და გასწია. სტენნიც ისევ თან გაჰყვა. უეცრად მოესმათ, რომ იქ სადღაც ასლო თოფებსა სტენავენ.

— „მიწაზედ წაწექ,“ უთხრა მაღალმა და თვითანაც გაერთხო მიწას.

იგი წაწვა მიწაზედ თუ არა, დაუშტვინა. პასუხად ამასაც დაუშტვინეს. მერე ცოცვით წავიდნენ წინ თოვლ და თოვლ. კედლის წინ მიწის სისწვრივ გამოჩნდა ჯერ ყვითელი, ჯაგარსავით ულვაშები და მერე გაქონილი ქუდი.

მაღალი ბიჭი მსწრაფლ გადახტა თხრილზედ და პრუსსიელს გვერდთ ამოუდგა.

— „ეს ჩემი პატარა ძმაა“, უთხრა მან პრუსსიელს და დაანახვა სტენნი.

სტენნი ასეთი პატარა რამ იყო, რომ პრუსიელმა დაინახა თუ არა, სიცილი აუტყდა. კედელს იქით გადასაყვანად თვითონ პრუსიელმა ხელში აიყვანა სტენნი და ისე გადიყვანა.

კედლის იქითა მხარეს დიდი თხრილები გაეკეთებიათ, დიდრონი ხეები დაეყარათ და თოვლში ამოთხრილის ხვრელებიდამ ამოეყოთ თავი ისევ იმ ყვითელს ჯვაგარსავით ულვაშებსა და გაქონილს ქუდებსა. პრუსსიელები იცინოდნენ ამ ბალღებს რომ ხედავდნენ. ცოტა აქით იყო მებაღის სადგომი დიდრონ ხეებ ქვეშ. მის ქვემო—სართულში ჯარის-კაცნი იყვნენ, ქაღალდს თამაშობდნენ და მხიარულად გახალებულს ცეცხლზედ წვნიანს ხაღასაც ხარშავდნენ. ქვაბიდამ კაი სუნი მოდიოდა კომპოსტოსი და ღორის ქონისა. პრუსსიელთა სადგური ბევრად სჯობდა იმ ფრანციელთა გუნდის სადგურს, რომელსაც პატარა ბალღები გზაზედ წააწყდნენ!

ზემო სართულში აფიცრობა იდგა. იქიდამ ფორტოპიანოს ხმა ისმოდა და შამპანიის ღვინის პროპკის ტყემა. ეს პარიჟელი ბავშვები რომ დაინახეს, მხიარულების ერამ დაიგრიალა და როდესაც ბავშვებმა გაზეთები გადასცეს, აფიცრებმა ღვინო უთავაზეს, და მერე ყოველისფერი აამბობინეს. იქა მყოფს აფიცრებს თუმცა მრისხანე და ამაყი სახის მეტყველება ჰქონდათ, მაგრამ მაღალის ბიჭის ქუჩური მასხარობა და სასაცილო კილო ამათაც სიცილს მოჰგვრიდა ხოლმე. ისინი იცინოდნენ, ამეორებდნენ რა მის ნათქვამსა, და აღტაცებით ჭყუპა-ლაობდნენ იმ პარიჟის ლაფში, რომელიც ბავშვებს მოაქვნდათ ხოლმე ახალის ამბების სახელითა. პატარა სტენნსაც უნდა ელაპარაკნა რამ და ამით დაემტკიცებინა მათთვის, რომ არც მე ვარ სულელიო, მაგრამ მას თითქო რაღაცა უბამდა ენას. მის წინ ერთი პრუსსიელი იდგა, სხვებზედ უფროსი და საქმიანი. მას ხელთ ეჭირა გაზეთი და განგებ აჩვენებდა ვითომ ვკითხულობო, ნამდვილად კი თვალი სტენნისაკენ ეჭირა და არ აშორებდა. მის თვალებში გამოჰკრთოდა გულმტკივნეულობა და საყვედური. მას იქნება თვალ-წინ წარმოუდგა თვისი სტენნისავით პატარა შვილი, რომელიც შორს, თავის ქვეყანაში დაეტოვებინა, და იქნება გულში ამბობდა:

— „მე სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე ჩემის შვილის დანახვა ამ სამაგელს ხელობაში.“

ამ წუთიდამ სტენნმა იგრძნო, რომ მის გული შეკუმშა ვიღაცის მძიმე ხელმა და ფეთქა შეუწყვიტა.

რომ ეს საგრძნობელი როგორმე მიეყრუებინა, ღვინოს დაუწყო სმა. მალე აერია ყოველისფერი თვალთა წინაშე. თითქო ძილში მოესმა, რომ მისი ამხანაგი დაჰსცინოდა ფრანციელთა საერო გვარდიასა, მათ ვარჯიშობასა, მათ თოფ-იარაღსა და მოკმაზულობასა და ყოველს ამაზედ მსმენელნი მაღალის ხმით ხარხარებდნენ. ამის მერმედ მისმა ამხანაგმა უეცრად ხმა დაიდაბლა, აფიცრები მიუახლოვდნენ, სიცილს თავი დაანებეს და სმენად გადიქცნენ. იმ სამაგელს უნდოდა ის ეცნობებინა, რომ ფრანციელთა ჯარს მათი ნიშანი შეუტყვია და ამაღამ დაცემას უპირობენ....

აქ პატარა სტენნი შეკრთა და გაათეთრდა.

— „ნუ იტყვი, ნუ!... დაუძახა მან ამხანაგსა: მაგის თქმა არ იქნება... მე არ მინდა, არა....“

ამხანაგმა სასაცილოდ აიგდო სტენნი და პრუსსიელებს ყველაფერი უამბო. გაათავა თუ არა, აფიცრები წამოდგნენ და ერთმა მათგანმა გაიშვირა თითი კარებისკენ და უთხრა ბავშვებს:

„—გადით, დაიკარგენით!“

აფიცრებმა მაშინვე სხაპა-სხუპით დაიწყეს ნემეცურად ლაპარაკი. მაღალი ბიჭი ამაყად გამოვიდა გარედ და ხელში ფულს აჩხარუნებდა; სტენნი კი უკან მოჰსდევდა თავ-ჩაკიდული. გვერთ გაუარა თუ არა სტენნმა იმ პრუსსიელს, რომლის ყურებამაც წეღან ისე შეაწუხა, მოესმა დაღონებული ხმა, რომელიც სტენნს ეუბნებოდა:

— „ეგ კარგი არ არის, არა...“ სტენნს თვალში ცრემლი მოერია.

ვაკეზედ რომ გავიდნენ, სულ სირბილით წავიდნენ, და მალე მივიდნენ სათავისოსა. პარკში კარტოფილითა მათ თავისუფლად გაიარეს საყარაულოები. ფრანციელნი ემზადებოდნენ ღამით დასაცემად. ჯარი ჩუმად მიდიოდა და კედლებს იქით იკრიბებოდა. ბებერი სერჟანტიც იქ იყო, ჯარის კაცებს თავ-თავის ადგილს აყენებდა და სიხარულით არ იცოდა რა ექმნა. როცა ბავშვებმა წინ გაუარეს კეთილად გაუღიმა...

ვაი, ამ ღიმილმა რამოდენი ტანჯვა და მწუხარება მიაყენა პატარა სტენნსა. მას უნდოდა დაეყვირნა ჯარისათვის: იქ ნუ წახვალთ! ჩვენ გაგყიდეთ.... ჩვენ გაგეცით... მაგრამ ამხანაგმა უთხრა:

— „თუ წამოროშამ რასმეს, თოფით დაგვხრეტენ.“ სტენნი შიშმა შეაყენა.

კურნევში ისინი შევიდნენ რაღაც უპატრონო სახლში და იქ გაიყვეს ფულები.

ეს კი უნდა აღვიაროთ, რომ პატიოსნურად და სისწორით გაიყვეს. და როდესაც პატარა სტენნს მოესმა ფულის ჩხარუნი ჯიბიდამ და წარმოუდგა, რომ ქსლა „გალოშის“ თამაში შეუძლიან, მაშინ მას თვისი დანაშაული უწინდელებ საზაროდ აღარ მიაჩნდა. ხოლო როცა მაღალი ბიჭი თავის გზაზედ წავიდა და სტენნი მარტო დარჩა, მაშინ ჯიბეები თითქო დაუმძიმდა და ის ხელი, რომელმაც წინად შეუკუმშა გული, თითქო ქსლა უწინდელზედ უფრო მაგრად სულს უხუთავსო. თვითონ

პარიჟიც პარიჟად აღარ ეჩვენა. ვინც კი ქუჩაში მიმავალი ნახა, ეგონა რომ ყველა მრისხანებით უყურებს, თითქო შეკრულოთ საიდამაც მოდიოდა. სიტყვა „მოდალატე“ ესმოდა ყოველს კუთხიდამ: ეტლის თვლებისა გრიალიც ამას ეუბნებოდა, დაფიცა, რომელსაც ჰსცემდნენ იქ, სადა ჯარს ათამაშებდნენ. ბოლოს მოვიდა შინ და გული დაუმშვიდდა, რომ მამა შინ არ დახვდა. მარდად ავიდა თავის ოთახში და ბალიშს ქვეშ ამოსდო ფული. ფული აწუხებდა მას.

მის დღეში სტენნის მამა არა ყოფილა ისე ბედნიერ და გულკეთილ როგორც იმ საღამოს. პარიჟის გარედამ მოსულიყო ამბავი, რომ საფრანგეთის საქმე კარგად მიდისო. ვახშამზედ ამ ბერმა ჯარის-კაცმა შეხედა თავის თოფს, რომელიც წინ კედელზედ ეკიდა, და უთხრა თავის შვილს გულკეთილობის ღიმილითა:

— „აი აი, პაწაწკუნავ, შენც წასვიდოდი პრუსიელებზედ რომ დიდი ყოფილიყავ!“

რვა საათი იყო რომ დაიგრიალა ზარბაზანმა.

— „ეს ჩვენები არიან... ბურჯეზე ომობენ,“ ჰსთქვა კეთილმა ბერი-კაცმა, რომელმაც როგორც თავისი ხუთი თითი ისე იცოდა ყველა სიმაგრეები. პატარა სტენნი გაფითრდა, დაღალვა მოიგონა, წავიდა და ქვეშაგებში ჩაწვა. მაგრამ ძილი არ მოუვიდა. ზარბაზნის გრიალი კიდევ მოდიოდა. მას წარმოუდგა, რომ საფრანგეთის ჯარი წავიდა პრუსიელებს თავს დაესხას და ამის მაგიერ ზედ შეეხლება ჩასაფრებულს და წინადვე მომზადებულს პრუსიელებს. მერე მოაგონდა ბებერი სერჟანტიცა, რომელმაც ღიმილით გამოაცილა, მოეჩვენა რომ იგი გართხმულია დედა-მიწაზედ, სისხლში ჰსცურავს და მის გვერდით ბევრნი სხვანი ჰყრიან დახოცილები!!.. ამოდენა სისხლის საფასური დამალული არის აქ, ბალიშს ქვეშ,— და ამის მომქმედი თვითონ არის, თვითონ ბერიკაცის სტენნის შვილი... ცრემლმა სული შეუგუბა, მას მოესმა, რომ მეორე ოთახში მამა მისი დადის და ფანჯარას გააღო.

ძირს მოედანზედ ჯარს აგროვებდნენ. ერთი გუნდი მობილებისა ომში წასასვლელად ემზადებოდა. იქ კი მართლა ნამდვილი ომი ატეხილიყო.

საწყალმა გულ-ამომჯდარმა ბაშვმა ტირილი ვეღარ შეიკავა.

— „რა დაგმართნია,“ ჰკითხა მამამ შვილსა, როცა მის ოთახში შემოვიდა.

ბაშვმა ვეღარ გაჰსძლო, წამოხტა ქვეშაგებიდამ და მამას ფეხებში ჩაუვარდა. დაიძრა ბაშვი თუ არა, რაც ფული იყო სულ ძირს ჩამოცვივდა.

— „ეს რა ფულია? ნუ თუ მოგიპარავს?“ ჰკითხა ბერიკაცმა და მთელმა ტანმა ცახცახი დაუწყო.

ისე უამბო პატარა სტენნმა ყველაფერი რაც მოუხდინა რომ სული არც კი მოუბრუნებია. რამოდენადაც უამბობდა, იმოდენად გულზე თან-თან ეშვებოდა და თავისის სიტყვითვე ბრალის კისრად აღება გულს უმშვიდებდა. ელდა ნაცემი მამა ისმენდა ამ საზარელს ამბავსა შვილისასა. როცა პატარა სტენნმა თვისი აღსარება გაათავა, საწყალმა ბერი-კაცმა მიიფარა პირის სახეზედ ორივე ხელი და ქვითინს მოჰყვა.

— „მამავ, მამავ!“ უნდოდა რაღაც ეთქვა ბალღს, მაგრამ ბერიკაცმა ხელით განიშორა და ხმა არ გაჰსცა. მერე დაჰსწვდა და ფულებს ძირიდამ კრეფა დაუწყო.

— „სულ ეს არის?“ ჰკითხა მამამა.

პატარა სტენნმა თავი დაუქნია ჰოს ნიშნად.

ბერი-კაცმა ჩამოიღო კედლიდამ თოფი და ჩანთა, ჩაიწყო ჯიბეში ფულები და ჰსთქვა:

— „მაშ კარგი!...მე ამ ფულებს ისევ პრუსიელებს მივუტან.“

ამის მეტი აღარა ჰსთქვა რა. ისე ჩამოვიდა კიბეზედ ძირს, რომ შვილისაკენ ერთხელაც აღარ მიუხედნია, გავიდა ქუჩაში და შაერია მობილებს, რომელნიც საომრად მიდიოდნენ.

მას აქედ აღარავის არ უნახავს მოხუცებული სტენნი,

ეკ. ღვინიაშვილისა.

---

## ჩვენი ისტორიისათვის მასალა. *)

(დასასრული).

დროთა ამათ შემდგომად გარდაიცვალა შინაგანის აფხაზეთის მთავარი საფარ ბეგი შარვაშიძე წელს ქრისტესით 1821 თებერვლის 6. და შემდგომად ამისა ამავე წელს მარტის ექვს ჰასან ბეგ ქელაიშ ბეგის ძე ძმა საფარ ბეგისა შეიპყრეს რუსთა და წარიყვანეს რუსეთად. მცნობი ამისა ასლან ბეგ შარვაშიძე მამის მკლველი, რომელი იყო თათართა შორის, მოვიდა აფხაზეთად, და ვინათგან არღარა ვინ იყო მემკვიდრე თვინიერ მცირეწლოვანთა ძეთა საფარ ბეგისათა, ამისთვის მიმართა ყოველმან აფხაზეთმან და მოვიდნენ ასლან ბეგისა და მისცეს ყოველთა ერთგულებისა პირი. მაშინ ხელმწიფე იმპერატორმან, რა სცნა გარდაცვალება საფარ ბეგისა, მიუბოძა აფხაზეთისა მთავრობა ძესა თვისსა (მისსა) დიმიტრის, რომელი იზრდებოდა სანკ-პეტერ-ბურღსა შინა, რომელი წარიყვანა საქართველოს მეფის ასულმან სამეგრელოს დედოფალმან ნინა, რომელი პირველ აღვწერეთ. ესე გამოიყვანეს სასწავლებელისაგან, მიუბოძა ჩინი პოლკოვნიკობისა და სხვა მრავალნი წყალობანი და გამოისტუმრა აფხაზეთს მთავრად. და რა მოვიდა საქართველოს უპი-

---

(* „ივერია“ № 14.

რატუს მმართებელთან ერმოლოვთან და მან წარმოუგზავნა იმერეთის მმართებელს თავადს გარჩაკოვს, და უბრძანა, რათა თვით წარუგეს მხედრობითა და განდევნოს ასლან ბეგ და დიმიტრი ექმნას მთავრად აფხაზთა. მაშინ ბრძანებისა მებრ აღემზადა თავადი გარჩაკოვი და სთხოვა მხედრობა რამოდენიმე სამეგრელოისა მთავარსა ჩვენსა და სახელდობ გამოსთხოვა თავი ჩემი მხედართ მძღვანად. წარვიდა თავადი გარჩაკოვი ორითა ბატალიონითა და თვისის არტილერიითა, თვით მთავარი ჩვენი ლეონ დადიანი მიჰყვა თავის სამზღვრამდე ღალიძგამდე, და იქიდამ მე გამატანა და ჩემთანა ლეჩხუმის მხედრობა ექვსასი კაცი და წარვედით და ოდეს მივედით ჩვენ ღალიძგას იქით ასლან ბეგ მოვიდა დაუკლებელის აფხაზ სპით და დასდვა მოქვს და უნდოდა ვითამ პირდაპირობა ჩვენი.

გარნა სიძე ჩემი ალიბეგ შარვაშიძე, რომელი იყო შთამომავლობითა მაჭმადიან, უწინარეს ამისა ოთხითა წლითა მოვიყვანე მართალსა სარწმუნოებასა ქრისტეს ღვთისა ჩვენისასა, ნათელ ვეც და უწოდე ალექსანდრე და მივეც ცოლად ასული ჩემი კესარია. ესე იყო მფლობელი ნახევრის სრულის აფხაზეთისა, რომელსა უწოდებენ მვასოველს. ესე მყოფი ასლან ბეგთან ვეზრახე და გარდამოვიბირე ჩვენ კერძო, აგრეთვე ცოლის ძმა ჩემი სალარუფუ მარშანია, რომელსა უსმენდენ სრული წებელნი და სხვანიცა, და იყო მას ჟამსა აფხაზთა შორის შემძლე კაცი. ესენი გარდმოვიბირენ და მოვიყვანე ჩვენთანა. ამისთვის ვერა დასდვა ასლან-ბეგ მოქვს და წარვიდა. წარვედით ჩვენცა და რა მივედით წყაბას და დავებანაკეთ, მოვიდა იქ სალარუფუ მარშანია და გვაცნობა, რომელ გზასა ზედა ჩვენსა ზღვის პირად, სადა ეწოდების აშიღვარა, მუნ შეუკრავს ოთხსა და ხუთსა ადგილსა საფარი ასლან ბეგს, სადა არა არს გზა თვინიერ მისა და მუნ სდგას აფხაზითა და ოსმალთ რამოდენიმე სპითა. მცნობი ამისი მეორესა დღესა განვემზადეთ და წარვედით და რა მივედით მუნ დანიშნულსა ადგილსა, ვნახეთ თქმისაებრ სალარუფუსა ოთხსა და ხუთსა ადგილსა ძლიერ მაგარი და საბრძოლველად გაწყობილი საფრები, სადა არა ჰქონდა გზა არსით შემოსავლელი. და რა ვსცანით თვინიერ ამისა არა იქმნების რა, დავიწყეთ ბრძოლა და შეიქმნა სასტიკი ომი, სადა არა გამოირჩეოდა ზარბაზანთა და თოფთა ცემა და მოიკლოდენ საკმაოდ კაცნი. და ვიბრძოლეთ რა სამ საათს, და ვსცანით, რომელ ზარბაზნითა და ესე ვითარისა ბრძოლითა ვერ განვდევნით მათ, მაშინ ერთიანად ვსთქვით და მიუტანეთ ერიში და ორ გზის მიუტანეთ ერიში, მაგრამ ვერ აღვიღეთ, ხოლო მესამე გზის სარდალთა და მხედართა განურჩევლად ერთიანად მიუტანეთ ერიში და აღვიღევით უპირველესი საფარი და განვდევნეთ. გარნა კვალად დასდგენ მეორესა უკანა საფარსა მაგრათ, მაშინ რა ნახა თავადმან გარჩაკოვმა, რომელ გაძნელდა საქმე, მედროშესა ჩემსა გამოართვა დროშა ჩემი და თვით მიუძღვა მხედრობასა და რამოდენისამე განვლისა შემდგომად მე მომცა დროშა და მე უძღოდი მხედრობასა და ესე ვითარითა საქციელითა აღვიღეთ საფარნი და განვდევნეთ და სრულიად გავაქციეთ, სადა გვქონდა ბრძოლა გაუწყვედელი თექვსმეტსა საათსა და ესრეთ იბრძოლეს დღესა მას აფხაზთა, რომელ არას დროს მოთხრობილა ბრძოლა ესე ვითარი აფხაზთაგან და მოგვისწრო ღამემან და დავსდექით მას ღამესა მდინარის მაჭარას პირსა ზედა.

ხოლო დილა რა გათენდა წარმოვედით და კვალად მოგვინდომეს დახთომა და რა ვნახეთ და იყო ცხენთა შეტევებისა ადგილი, მაშინ ჩვენთა ლეჩხუმელთა შეუტიეს და მცირედისა სროლითა გააქციეს, და მრავალი დევნა უყვეს და განიბნინეს და მივედით თუბუნს (ესე იგი ცხომს) და ქალაქი და გარემო მისა სოფელნი და ეგრეთვე სასახლე შარვაშიძეთა სრულად დავსწვით და ავოხრეთ და მუნით მივედით აუუს ციხესა შინა; მუნ განვისვენეთ ოთხსა თუ ხუთსა დღესა შინა ბრძოლითა საკმაოდ დამაშვრალთა და განუსვენეთ მუნ დაკოდილთა და ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დავებანაკეთ და მოვიდენ ყოველნი ზუფუელნი, გარნა ნარჩოუ და გიორგი ინალის შვილები არ მოვიდენ ჩვენთა, ვინაითგან ერთგულებდენ ასლან ბეგსა. ამისთვის განრისხდა თავადი გარჩაკოვი და წარგვავლინა საინალის-შვილოშიდ დასაოხრებლად მე და პოთპოლკოვნიკი ივან ნიკოლაევიჩი თავადი აფხაზოვი და რა წაველთ გზასა ზედა შევირიგეთ გიორგი ინალიშვილი და მიუტევეთ დანაშაულობა მისი და ნარჩოუ არ მოვიდა. წარვედით და კაპეტის წყალის პირსა ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა ნარჩოუსასა და მუნით წარვგზავნეთ თარეშნი ჩვენნი ლეჩხუმელნი და მოათარეშეს მრავალნი ადგილნი და მოსდენეს მრავალნი პირუტყვნი და სხვა ალაფი და მოვიდნენ. და შემდგომად დავსწვით სასახლე ნარჩოუ ინალიშვილისა და გარემო სოფელი ყოველი და ძელსა ზედა დავმოკიდეთ მუნ ორნი კაცნი შესაშინებელად აფხაზთა. და თუმცა გვიყვეს მცირედი სროლა იქა, მაგრამ გავაქციეთ მსწრაფლ და ესე ვითარი წარმატებით მოვედით კვალად ლუხუნს სასახლესა შინა თავადს გარჩაკოვსთან.

ხოლო შემდგომად სამისა დღისა შევაფიცეთ დიმიტრის ყოველი აფხაზეთი, მიულოცეთ ცერემონიით მთავრობა. დაუტევეთ მცველი მხედრობა და მაიორი რაკოცა და ესრეთის მოქმედებით წარმოვედით და მოვედით კვალად აუუს (რომელ-არს სოხუმს) და აუუდამ თავადი

გარნაკოვი წამოვიდა ზღვით და მერე თავადი აფხაზოვი და ყოველი მხედრობა ხმელით გზაზედა და თავისის უგვანის და არა მართლიადის საქციელისათვის ოქუმის წყლის პირზედ დავიჭირეთ ბეყან მარღანია, რომელი ჟამსა მას დადიანის სამთავრობელო სამურზაყანოსა შინა იყო შემძლე კაცი და ესრეთ მშვიდობით წარმართებულნი მოვედით სახლადვე ჩვენსა.

ესე ვითარისა სამსახურისა ჯილდოთ გვიბოძეს მოწყალება თავადს ღენერალ მაიორს გარნაკოვს ბურნაოთის კოლოფი ბრიალენტით მოოჭვილი, თავადს აფხაზოვს ჩინი პოლკოვნიკობისა, მაიორს რაკოცას და მაიორს შულკაჩოვს მეოთხე ხარისხისა ორდენი წმინდის ვლადიმერისა და სხვათა აფიცართ მათ მათი შესაბამი. მე მიბოძეს ჩინი ღენერალ მაიორობისა, ჩემს ხელთ ქვეშეთთა, ძესა ჩემსა გიორგის პოდ-პორუჩიკობა, რომელმანცა ჟამსა მას წარმოაჩინა სახელოვანი მამაცური ქცევა, რომელიცა იყო ჯერეთ ყრმა, თავადს ლევან გელოვანს ორდენი ვლადიმირის მეოთხისა ხარისხისა, რომელმანცა ვაჟკაცობითა ჟამსა მას განასხვავა თავი თვისი, ვახტანგ ზაალის ძეს ასათიანს პრაპორშიკობა, რომელიცა მცირედ დაიკოდა ხელზედ; სამურზაყანოველთ რომელიც მე მახლდენ თავადს თემურყვა ანჩაბაძეს პორუთჩიკობა და პენცია სიკვდილამდის, რომელიც გვემსახურა პერეოჩიკობითა და სხვათა და სხვათა საქციელითა; თავადს შარვაშიძეს ორთა ძმათ ხუხულობასა და ზურაბს და თავადს დათა ანჩაბაძეს პრაპორშიკობა, და ეგრეთვე ალი-ბეგ შარვაშიძეს პორუთჩიკობა და სალარუფუ მარშანიეს კაპიტნობა და სიკვდილამდის პენცია და ესრეთ ღირს ვიქმენით მონარხისა მოწყალებისა.

ხოლო განძებული და გაქცეული ასლან ბეგ მივიდა ჯიქეთს და იშოვნა საკმაო ჯარი ჯიქისა, მოვიდა და მოადგა ჩვენთა დატევებულთა მხედრობათა ლუხუნს და მაიორს რაკოცას. თუმცა მამაცად იყვნენ ჯიქნი და შემოკრეს საფრითა, საცა იყვნენ ჩვენნი მხედრობანი და მივიდენ მამაცად, მაგრამ რუსთა თვისის ჩვეულების უმღვეელის მოქმედებით დაუწყეს ბრძოლა და გააქციეს ჯიქნი და მრავალნი მოჰკლეს და მრავალი ალაფი დააყრევინეს და ესრეთ განემარჯვათ მცირედთა მხედრობათა ჩვენთა და სირცხვილეული წარვიდა ასლან ბეგ და მისი ჯიქნიცა.

ხოლო შემდგომად მთავრობისა მისისა ერთისა წლისა შესრულებამდის დასნეულდა მთავარი დიმიტრი საფარ ბეგის ძე შარვაშიძე და საუბედუროთ აფხაზთა გარდაიცვალა იგი წელს ქრისტესით 1822 და დაფლეს რუსთა დიდის პატივით ლუხუნის სასახლისა ეკკლესიასა შინა. ხოლო მიუწოდა საქართველოს უპირატეს მმართებელმან იერმოლოვმან უმცროსსა ძმასა დიმიტრისასა მიხაილს და მისცეს მთავრობა შინაგანის აფხაზეთისა და ჩინი მაიორობისა ვინათგან ჯერეთ მცირ წლოვანი იყო. ხოლო ვახტანგ ბაგრატიონი, რომელი უწინარეს ვახსენეთ, იყო გადავარდნილი ასალციხეს ოსმალთა შინა, და იყო მასთან იოანე ქაიხოსროს ძე აბაშიძე, რომელი ესეცა უწინარეს ვახსენეთ, ესე წარვიდა სტამბოლს ოსმალთ იმპერატორთათანა (ესე იგი ხვანთქართან) და მიიღო პატივი, და რა მოვიდა მუნით შეეშურვა რომლისამე მიზეზისათვის ვახტანგ ბაგრატიონი, შეუჩინა კაცნი და მოჰკლეს ასალციხეს იოანე აბაშიძე. წელსა ამას 1822 დეკემბერსა 12 გარდაიცვალა გიორგი ნიკოლაოზის ძე დადიანოვი საგლოველად და საბავთოდ საზოგადოდ სახლთა სამთავროთა დადიანთა; ვინათგან იყო კაცი ღირს სახსოვარი და საყვარელი. ეგრეთვე წელს ქრისტესით 1823 იანვრის 28 გარდაიცვალა ღენერალ-მაიორი და კავალერი იმერეთის სახლთ-უხუცესი თავადი ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი სიმამრი დადიანისა ლეონისა, რომელი იყო სრულიად იმერეთსა შინა ჭკუითა და კარგ კაცობითა წარმოჩენილი, და სახლთა შინა დიდებული. ამათ ჟამთა მთავარმან ჩვენმან ლეონ დადიანმან მოიყვანა როსტომ ბეგ ქელაიშ აჭმედ ბეგის ძე შარშაშიძე და შთამომავლობითა მაჭმადიანი, ნათელ-სცა სახელსა ზედა ქრისტესა და ქრისტიან ჰყო და მისცა და თვისი ქეთევან ნაცოლარი მანუჩარ შარვაშიძისა ცოლად. თუმცა არა კეთილ ქცეულებისა მისისათვის უწყრებოდა როსტომ ბეგს მმართებლობა რუსთა, გარნა მთავრის დადიანის პატივისათვის მიუტევეს მას.

ხოლო ჟამსა ამას სამეფოსა საქართველოსა იმერეთისასა უსაშვალოდ ჰფლობს დიდი ხელმწიფე ჩვენი ალექსანდრე პავლეს ძე პირველი მპყრობელი სრულიად რუსეთისა, სამთავროსა სამენგრელოსსა სრულიად ფლობს მთავარი ლეონ გრიგოლის ძე დადიანი, გურიისა სამთავროსა ჰფლობს მთავარი მამია სიმეონის ძე გურიელი. აფხაზეთისა სამთავროსა ჰფლობს მთავარი მიხაილ საფარ ბეგის ძე შარვაშიძე; ხოლო ამათ მთავრებთა ჰფლობს რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე პავლეს ძე პირველი და არს მშვიდობა გამოუთქმელი, რომელიცა უმეტესად დაამტკიცოს მომცემელმან კეთილისამან ღმერთმან.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюнія 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.